# გარეჯის მაცნე



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №1-2(231-232) 2021 წ. 1-31 იანვარი ფასი 2 ლარი


## გილოცავთ ახალ, 2021 წელს!

### მეკვლეს დალოცვა

ახალი წელი დაგვიდგა, ძველი წახდა საუგო,
მომაწოდეთ პაპას თოფი, ძველებურად დავაქუხო!
ათასფერმა მაშხალებმა გაანათეს ღამის ზეცა
და ივსება ღვინის ყანწი, სადღეგრძელოს შესასმელად.
აგერ მეკვლეც აკაკუნებს,
ძლივს იმაგრებს სავსე ხურჯინს,
ზღურბლზე მდგარი ოქროს აფრქვევს,
ენა ფრანგულივით უჭრის.
ენაა და ენაც არის! გაიჩარხა, დაითაფლა.
ზე ასწია სავსე „ჯიხვი“ და გულიდან ამოშაქრა:
– დაგელოცოთ ფუძე-კერა, ჯალაბობა, ქართველებო,
მიწა-წყალი, ქალი-კაცი, რასაც ჰქვია საქართველო!
გამრავლდით და გაიხარეთ, ღმერთმა ასწილ აგაშენოთ,
სიკეთე, ბედნიერება, ხვავ-ბარაქა დაგეკვებოთ!
უხვი გქონდეთ მოსავალი, ღვინით სავსე ქვევრ-მარანი,
ძე-ასულები აკვნებში, ერდოს შემჯდარი მამალი,
ყველა ორფეხი-ოთხფეხი, დედამიწაზე მავალი,
თავს დაგნათოდეთ მზე-მთვარე,
ბედნიერების ვარსკვლავი!
გეწეოდეთ მამა ღმერთი, სალოცავნი მთა და ბარის.
გულში გენთოთ დიდი რწმენა,
სიყვარული ღვთის და კაცის,
სიყვარულზე სიყვარულით შეგვეწევა მაცხოვარი!
გადაივლის ეს „კორონაც“, საშინელი პანდემია,
მსგავსი ჭირი, უარესიც, უამრავი გაგვივლია.
აფხაზეთი, სამაჩაბლო, სხვა მიწებიც, რაც დავკარგეთ,
ღვთისმშობელის შემწეობით,
დავიბრუნოთ ამ ახალ წელს.
დავივიწყოთ მტრობა, შური, ქიშპობა და ორგულობა,
თუკი ამ სენს დავივიწყებთ, სუყველაფერიც გამოვა.
ძმა ძმას გვერდით დაუდგება, ხელს შეეჯაჭვება ხელი,
შეიკვრება, გაბრწყინდება, ძველისძველი ჩვენი ერი,
იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ, სულ მეყოლეთ ბედნიერი,
თქვენი სადღეგრძელოც იყოს, თქვენი მრავალჟამიერი!

*გივი დაბახიშვილი*



## საქართველოსთვის ფეხბედნიერი წელი დაიწყო

### ეს ისტორიული გადაწყვეტილებაა!

**დღეს საქართველოს უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი დღეა!**

**დავა - საქართველო რუსეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში საქართველოს გამარჯვებით დასრულდა!**

**ეს საერთო გამარჯვებაა!**

**გიორგი გახარია,**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი:*
*21 იანვარი, 2021 წელი*



საქართველოს პროკურატურა 2008 წლის ომის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ განცხადებას ავრცელებს.

სტრასბურგის სასამართლოში გამოძიებით მოპოვებული ასეულობით სხვადასხვა მტკიცებულება გაიგზავნა, რის საფუძველზეც ქართული მხარე, სასამართლოს წინაშე, ძლიერი სამართლებრივი არგუმენტებით და მყარი მტკიცებულებებით წარსდგა, რამაც არნახული გამარჯვება მოგვიტანა.

„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, დღეს, სტრასბურგის სასამართლომ 2008 წლის ომის საქმეზე გადაწყვეტილება გამოაცხადა, რომლის თანახმადაც რუსეთის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არაერთი მუხლი დაარღვია.

აღნიშნულ საქმეზე, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებას სხვა უწყებებთან ერთად ახორციელებდა საქართველოს გენერალური პროკურატურა.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე - საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი გენოციდის, მორადიორობის და შეიარაღებული კონფლიქტის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 407-ე, 411-ე და 413-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

გენერალური პროკურატურის მიერ, აღნიშნულ საქმეზე ჩატარდა კომპლექსური და ფართომასშტაბიანი გამოძიება. გამოიკითხა ათასობით მოწმე. დათვალიერდა შემთხვევის ადგილები, სამკურნალო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ იქნა სამედიცინო დოკუმენტაცია ათეულობით პირზე, რომელთა საფუძველზე დაინიშნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზები. ასევე, საქმეზე ჩატარდა ბალისტიკური, პიროტექნიკური, ვიდეო-ტექნიკური, ქიმიური და სასაქონლო ექსპერტიზები.

2015-2020 წლებში გამოიკითხა ერედვის, ქურთის და თიღვის მუნიციპალიტეტების სოფლებში მცხოვრები ის მოქალაქეები, რომლებიც საომარი მოქმედებების მიმდინარეობისას იმყოფებოდნენ თავიანთ სოფლებში და თვალს ადევნებდნენ მათ სოფლებში განვითარებულ მოვლენებს. მათგან მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები და ოსური უკანონო შეიარაღებული ფორმირებები მოქმედებდნენ სამაჩაბლოს სოფლებზე ფართომასშტაბიანი თავდასხმების წინასწარ შეთანხმებული გეგმით, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა ამ ტერიტორიის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისგან გაწმენდა. უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრებმა, ჯერ გაძარცვეს ქართული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები და შემდეგ, იმ მიზნით, რომ ქართულ მოსახლეობას არ ჰქონოდა სოფელში დაბრუნების შესაძლებლობა, გადაწვეს მათი სახლები. აღნიშნულით განახორციელეს მოსახლეობის იძულებით განდევნა და გადაადგილება თავიანთი კანონიერი საცხოვრებელი ადგილებიდან.

ასევე, მიმდინარე გამოძიების პროცესში დადგინდა გორის ცენტრში აფეთქებული რაკეტა „ისკანდერის“ ნარჩენების ადგილსამყოფელი, რომლებიც გამოძიების მიერ ამოღებულ იქნა 2017 წლის 5 ოქტომბერს. 2008 წლის 12 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ, სწორედ აღნიშნული კასეტური ჭურვებით აღჭურვილი რაკეტით დაიბომბა ქ. გორის ცენტრალური მოედანი და მიმდებარე ტერიტორია, სადაც იმ დროს იმყოფებოდა მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა. აფეთქების შედეგად დაიღუპა 12 და დაიჭრა 29 მშვიდობიანი მოქალაქე.

გამოძიების მიერ ასევე ამოღებულ იქნა შორი მოქმედების რაკეტა „ტოჩკა უ“-ს ორი კორპუსი, რომლებითაც 2008 წლის 10 აგვისტოს დაიბომბა ონის რაიონის სოფელი კომანდელი და გორის რაიონის სოფელი ნიქოზი. გამოძიების პროცესში მოპოვებულ იქნა რაკეტა „ისკანდერთან“ და რაკეტა “ტოჩკა უ“ -სთან დაკავშირებული ფოტო და ვიდეომასალები, რითაც დგინდება საქართველოს ტერიტორიაზე მათი ჩამოგდების ფაქტები.

2018 წლის 26 აპრილს გამოძიების მიერ ამოღებულ იქნა გორის ცენტრში აფეთქებული რაკეტის ნარჩენი ნაწილების ოთხი ფრაგმენტი. გამოძიების მიერ, რაკეტა „ისკანდერისა“ და „ტოჩკა უ“-ს დეტალებზე ჩატარებული პიროტექნიკური, ქიმიური და ფოტო-ვიდეო ტექნიკური 2017 წლის 22 ნოემბერს და 2018 წლის 21 აპრილის ექსპერტიზის დასკვნით დგინდება რომ ობიექტები წარმოადგენენ ქარხნული წესით რუსეთის ფედერაციაში დამზადებულ, ასაფეთქებელი მოწყობილობის - 9M723 „ИСКАНДЕР“ და „ტოჩკა უ“-ს ტიპის რაკეტის, აფეთქების შემდგომ დარჩენილ ნაწილებს.

სტრასბურგის სასამართლოში გამოძიებით მოპოვებული ასეულობით სხვადასხვა მტკიცებულება გაიგზავნა, რის საფუძველზეც ქართული მხარე, სასამართლოს წინაშე, ძლიერი სამართლებრივი არგუმენტებით და მყარი მტკიცებულებებით წარსდგა.

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის 11 თვის მერიის მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის 2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი მე-5 ცვლილების შესაბამისად განისაზღვრა 26 503,400 ლარით,დამტკიცებულ ბიუჯეტთან 14 539,500 ლართან შედარებით გაიზარდა 11 963,900 ლარით ანუ 82%-ით, ხოლო 2019 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან 22 901,300 ლართან შედარებით 3 602,100 ლარით ანუ 16 %-ით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამოეყო 9 335 ათასი ლარი, მ.შ.: 1) 2020 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 6 907,300 ლარი, აქედან 4 299,600 ლარი გათვალისწინებულია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე; 1 612,500 ლარი წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე; 130,200 ლარი საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაციაზე; 631,800 ლარი სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე; 233,200 ლარი სპორტული ობიექტების აღჭურვა,რეაბილიტაცია, მშენებლობაზე; 2) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 658 ათასი ლარი; 3) ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ მიზნობრივი ტრანსფერი 872,100 ლარი, აქედან საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 730 ათასი ლარი, ხოლო მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის 142,100 ლარი; 4) 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტის, სოფელ მანავში მანავის ციხესთან მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობისათვის დასაფინანსებლად 897,600 ლარი. წინა წლის ნაშთიდან დაემატა 3 398,700 ლარი, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული საგადასახადო შემოსავლების პროგნოზებისა და მუნიციპალიტეტის შემოსულობების სხვა წყაროების მოსალოდნელი შემცირების გათვალისწინებით განხორციელდა ბიუჯეტის კორექტირება და შემცირდა 769,800 ლარით.

მიმდინარე წლის 18 ნოემბრისთვის ბიუჯეტის შემოსულობებმა სულ შეადგინა 18 379,300 ლარი, აქედან შემოსავლების სახით შემოსულია 18 092,900 ლარი, მ.შ.: 1) გადასახდები შემოვიდა 10 173 ათასი ლარი, ეს არის ქონების გადასახადი 2 576,800 ლარი და დამატებული ღირებულების გადასახადი 7 596,200 ლარი; 2) გრანტების სახით მიღებულია 6 697,900 ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად შემოვიდა 343,400 ლარი, კაპიტალური ტრანსფერის სახით მივიღეთ 6 354,500 ლარი; 3) სხვა შემოსავლების სახით შემოსულია 1 222 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 286,400 ლარი. საგასავლო ნაწილი შეადგენს 16 737,200 ლარს, მათ შორის დაფინანსებულია მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2 589,400 ლარით; ინფრასტრუქტურის განვითარება 7 837,600 ლარით; დასუფთავება და გარემოს დაცვა 999,100 ლარით; განათლება 2 559,700 ლარით; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 1 312,800 ლარით, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 1 438,600 ლარით; სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 288,500 ლარი.

### საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ანგარიში

1. მაღალმთიანი სტატუსის და სხვა დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოცდაუცველი I-II ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დასახმარებლად გაიცა ფულადი დახმარება -3900 ლარი, ისარგებლა 13 ოჯახმა.

2. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად გაიცა ფულადი დახმარება 39600 ლარი, ისარგებლა 99 ოჯახმა.

3. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების დასახმარებლად გაიცა 3400 ლარი, ისარგებლა 17 ოჯახმა.

4. სოციალურად დაუცველი, შშმ სტატუსის მქონე, ვეტერანი, დევნილი პირების სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად გაიცა ფულადი დახმარება 217 242.38 ლარი, ისარგებლა 590 პირმა.

5. სოციალურად დაუცველი, შშმ.პირთა, ონკოლოგიური პაციენტების პროთეზის ან სხვა დამხმარე სამედიცინო საშუალებების დასაფინანსებლად გაიცა 3997.79 ლარი, ისარგებლა 12 პირმა.

6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და დაუნის სინდრომის და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა რეაბილიტაციის დასაფინანსებლად გაიცა 7185 ლარი, ისარგებლა 21 პირმა.

7. ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება და ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების ქიმიოთერაპიის,ჰორმონოთერაპიის და ამ მკურნალობის შედეგად განვითარებული დაავადებების მკურნალობა, ასევე, სხვა სიმსივნური დაავადების მქონე პირებზე სამედიცინო დახმარების დასაფინანსებლად გაიცა 132 420,34 ლარი, ისარგებლა 481 პირმა.

8. სოციალურად დაუცველი, შშმ პირთა, ვეტერანთა, ეპილეფსიით დაავადებულთა და ონკოლოგიური პაციენტების მედიკამენტების დასაფინანსებლად გაიცა 108 006.77 ლარი, ისარგებლა 481 პირმა.

9. ფენილკეტონურიით ან სხვა იშვაითი დაავადების მქონე პირთა მედიკამენტებით და სპეციალიზირებული საკვები დანამატების დასაფინანსებლად გაიცა 500 ლარი, ისარგებლა 1 ოჯახმა.

10. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი და სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა კვების დასაფინანსებლად გაიცა 800 ლარი, ისარგებლა 8 ოჯახმა.

11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვთა ოჯახების დასახმარებლად გაიცა 32 500 ლარი, ისარგებლა 75 ოჯახმა.

12. უდედმამო 18 წლამდე ბავშვთა დასახმარებლად გაიცა 2600 ლარი, ისარგებლა 3 ოჯახმა.

13. უპატრონო, სოციალურად დაუცველი, ლტოლვილი გარდაცვლილი პირის დაკრძალვის სარიტუალო ხარჯების დასაფინანსებლად გაიცა 6000 ლარი, ისარგებლა 20 პირმა.

14. საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯების დასაფინანსებლად გაიცა 900 ლარი, ისარგებლა 3 ოჯახმა.

15. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახის დასახმარებალად გაიცა 1000 ლარი. ისარგებლა 2 ოჯახმა.

16. დიდი სამამულო ომის ვეტერანების სარიტუალო ხარჯებით დასახმრებლად გაიცა 750 ლარი, ისარგებლა 3 ოჯახმა.

17. ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის“ უფასო სასადილოების დასაფინანსებლად გაიცა 136 742 ლარი. ისარგებლა 220 ბენეფიციარმა.

18.სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მოხმარებული ელექტოენერგიის ან გაზის ღირებულების დასაფინანსებლად გაიცა 27 205 ლარი, ისარგებლა 385 ოჯახმა.

19. სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ დედით ან მამით ობოლ,სოციალურად დაუცველ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე შვილთა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდნეტებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის, რომელთაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობელი ან მშობლები და ოჯახი რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში უმაღლეს საგამანათლებლო სასწავლებელში სწავლის საფასურის დასაფინანსებლად გაიცა 5 495 ლარი, ისარგებლა 6 პირმა.

20. სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის ხარჯის დასაფინანსებლად გაიცა

21. ხანდაზმული პირების დასახმარებლად გაიცა 49 500 ლარი, ისარგებლა 980 ოჯახმა.

22. ჰემო-დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვის დასაფინანსებლად გაიცა 27 600 ლარი, ისარგებლა 75 პირმა.

23.ბინის ქირის უზრუნველყოფის დასაფინანსებლად გაიცა 20 638 ლარი, ისარგებლა 23 ოჯახმა.

24. სოფელ უდაბნოდან და სოფელ სათაფლიდან ქალაქ საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტრანსპორტირების დასაფინანსებლად გაიცა 20 638 ლარი, ისარგებლა 23 ოჯახმა.



25. სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საშობაო- სააღდგომო და კოვიდ პანდემიის გამო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს ამანათების დასაფინანსებლად გაიცა 64 590.53 ლარი, ისარგებლა 2000 ოჯახმა.

### ინფრასტრუქტრის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახური

1 **ქ. საგარეჯო** – გურამიშვილის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის მოასფალტება. პროექტით გათვალისწინებულია ორფენიანი ასფალტობეტონის საფარის მოწყობა 500 გრძ. მეტრზე223 998,1 აფინანსებს რეგ. ფონდი

2 ქ. საგარეჯო – სათავის ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა პროექტით გათვალისწინებულია ორფენიანი ასფალტობეტონის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა 520 გრძ. მეტრზე 229 997,0 რეგ. ფონდი

3 ქ. საგარეჯო – განთიადის, გორის, თამარ მეფის ქუჩების მოასფალტება პროექტით გათვალისწინებულია ორფენიანი ასფალტობეტონის საფარის მოწყობა 870 გრძ. მეტრზე 335 876,6 რეგ. ფონდი

4 ქ. საგარეჯო – ვაჟა-ფშაველას ქუჩის მოასფალტება პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა 270 გრძ. მეტრზე 92 072,5 რეგ. ფონდი

5 ქ. საგარეჯო – კახეთის გზატკეცილის 1 შესახვევის მოასფალტება ე.წ. (სოკარის ქუჩა) პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა 450 გრძ. მეტრზე 215 700,9 რეგ. ფონდი

6 ქ.საგარეჯო – ქუჩიშვილის და ტაბიძის ქუჩების მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა 800 გრძ. მეტრზე 683 265,3 ლარი რეგ. ფონდი

7 ქ. საგარეჯო – გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის მოასფალტება პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა 680 გრძ. მეტრზე 433 305,9 ლარი რეგ. ფონდი

8 ქ. საგარეჯო – ჩოლოყაშვილის ქუჩის მოასფალტება პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა 260 გრძ. მეტრზე 182 994,2 ლარი რეგ. ფონდი

9 **გიორგიწმინდის** თემი: სოფ. გიორგიწმინდაში, სასაფლაოს გზაზე რკინა/ბეტონის საფარის მოწყობა პროექტით გათვალისწინებულია რკინა/ბეტონის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა 400 გრძ. მეტრზე 183 070,2 ლარი რეგ. ფონდი

10 სოფ. **პატარა ჩაილური** სოფ. პ/ჩაილურში ცენტრალური გზის მოასფალტება პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა 800ზე გრძ. მეტრზე 286 058,3 ლარი რეგ. ფონდი

11 სოფ. **პატარძეული** სოფ. პატარძეულში მონასტერთან მისასვლელი გზის მოასფალტება პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა 600 გრძ. მეტრზე 415 336,4 ლარი რეგ. ფონდი

12 **გომბორის თემი:** სოფ. გომბორში, საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია. არსებულ შენობაში საჭიდაო დარბაზის, სველი წერტილებისა და ცენტრალური გათბობის მოწყობა 154 454,0 რეგ. ფონდი

13 ქ. საგარეჯო – ჯაფარაძის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა ჯაფარიძის ქუჩაზე 540 გრძ მეტრზე ტროტუარების ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა 94 340,0 რეგ. ფონდი

14 სოფ. **პატარძეული** სოფ. პატარძეულში ე.წ. „ონაანთ“ უბნის გზის მოასფალტება პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა 600 გრძ. მეტრზე 388 307,1 ლარი რეგ. ფონდი

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის 11 თვის მერიის მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში

**გაგრძელება**

15 **ქ. საგარეჯო** – ზაზა ქურხულის ქუჩის მოასფალტება პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა 400 გრძ. მეტრზე 157 000,0 ლარი რეგ. ფონდი

16 სოფ. **პატარძეული** სოფ . პატარძეულის №2 საბავშვო ბაღის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები ც ე ნ - ტრალური გათბობის მოწყობა, შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. 438 020,0 ლარი დასრულებული რეგ. ფონდი

17 **უჯარმის თემი** სოფ. უჯარმაში, საბავშო ბაღის სრული რეაბილიტაცია ცენტრალური გათბობის მოწყობა, შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. იატაკების, კედლების და ჭერის კოსმეტიკური რემონტი, 227 000,0 ლარი რეგ. ფონდი

18 **ქ. საგარეჯო** – ქ. საგარეჯოში დ. აღმაშენებლის ქუჩაზე გმირთა მემორიალის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, მისი მხატრული მინათებისა და მიმდებარე მოედნის მოასფალტების სამუშაოები პროექტით გათვალისწინებულია ორ ფენიანი ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა 200 გრძ. მეტრზე137 037,0 რეგ. ფონდი

19 სოფ. **ბადიაური** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურში ახალი სპორტული დარბაზის მოწყობა 292 292,0 ლარი რეგ. ფონდი

20 სოფ. **კაზლარი** წ ყ ა ლ მ ო მ ა - რაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია მოხდება ახალი რეზერვუარის მოწყობა. ასევე გაუმჯობესდება წყლის დებეტი. შედეგად შესაძლებელი გახდება მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების გუმჯობესება. 714 698,5 ლარი რეგ. ფონდი

21. **გიორგიწმინდა** წ ყ ა ლ მ ო მ ა - რაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია მოხდება ახალი ქსელის მოწყობა. ასევე გაუმჯობესდება წყლის დებეტი. შედეგად შესაძლებელი გახდება მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების გუმჯობესება. 693 958,9 ლარი რეგ. ფონდი

22 **გომბორი** წ ყ ა ლ მ ო მ ა - რაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია – მოხდება ახალი რეზერვუარის მოწყობა. ასევე გაუმჯობესდება წყლის დებეტი. შედეგად შესაძლებელი გახდება მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების გუმჯობესება. 193 206,0 ლარი რეგ. ფონდი

23 **კაზლარი** სოფელ თულარი-კაზლარის ცენტრალურ დამაკავშირებელ გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა – პროექტით გათვალისწინებულია ა/ბეტონის საფარის მოწყობა 5352 გრძ. მეტრზე. ასევე, მოეწყობა ეზოებში შესასვლელები, რკ/ბეტონის კიუვეტები და საგზაო ნიშნები. 653 420,4 ლარი რეგ. ფონდი

24 **კაკაბეთი** სოფ. კაკაბეთში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის (II ეტაპი) სამუშაოები 95 787,0 ლარი რეგ. ფონდი

25 **ხაშმი** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში შესასვლელ გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა პროექტით გათვალისწინებულია ა/ბეტონის საფარის მოწყობა 2773 გრძ. მეტრზე. ასევე, მოეწყობა გრუნტის კიუვეტები. 1 370 000,0 ლარი რეგ. ფონდი



### ადგილობრივი ბიუჯეტი

1 **მზისგული** სასმელი წყლის ჭაბურღილის რეაბილიტაცია 26071,11 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

2 **საგარეჯოს** მუნიციპალიტეტი სასმელი წყლის ჭაბურღილებისთვის ამქაჩი ტუმბოების მოწყობა 77408 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

3 **წყაროსთავი** წ ყ ა ლ მ ო მ ა - რაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია 49129,3 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

4 **შიბლიანი** სოფელ შიბლიანის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები 84760,55 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

5 **პატარძეული** მე-2 მსოფლიო ომის გმირის გიორგი ბილანიშვილის ბიუსტის აღდგენის სამუშოები 5 9 0 0 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

6 ქ. **საგარეჯო** ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი 12-ში სატუმბო სადგურისა და სასმელი წყლის მილის მოწყობა 18464,73 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

7 **ნინოწმინდა** ადმინისტრაციულ შენობაში სველი წერტილების მოწყობა 5684,06 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

8 **ნინოწმინდა** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში დაზიანებული რ/ბეტონის არხისა და ლითონის ცხაურის შეცვლა 1 8 8 1 , 4 8 ადგილობრივი ბიუჯეტი

9 **პატარძეული** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულში რ/ბეტონის ღარების ამოტრიალება და ლითონის ცხაურის მოწყობა 2 4 0 1 , 5 8 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

10 **კაკაბეთი** სოფელ კაკაბეთის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეაბილიტაციის სამუშაოები 70172,22 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

11 **საგარეჯო:** საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი 19-ში სეპტიკისა და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა 23612,98 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

12 **საგარეჯო** საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქ. საგარეჯოსა და მისი სოფლებისთვის, სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლით) შეძენა-მონტაჟის სამუშაოები 9 9 9 9 9 , 1 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

13 **საგარეჯო** სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების, ქვეითად მოსიარულეთა საგზაო გადასასვლელების (ე.წ ზებრები), საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნების და საგზაო სარკეების დამონტაჟება 20972,5 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი



14 **საგარეჯო** ქ. საგარეჯოში, №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ტერიტორიაზე მოწყობილი ჭაბურღილის დაზიანებული სასმელი წყლის ტუმბოს ახალი 4 კილოვატიანი სიმძლავრის ტუმბოთი (კომპლექტით) ამოცვლის სამუშაოების 8505 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

15 **წყაროსთავი** სოფელ წყაროსთავში დამონტაჟებული დაზიანებული სასმელი წყლის ტუმბოს ახალი 5.5 კილოვატიანი სიმძლავრის ტუმბოთი ამოცვლის სამუშაოები 6729 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

16 **კაკაბეთი** საგარეჯოს მუნიცილაპიტეტის სოფელ კაკაბეთში „დვრინი"-ს წყალზე სადრენაჟე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ამავე სოფელში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები 177762,81 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

17 **უდაბნო** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა 66210,99 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

18 **ნინოწმინდა** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში ეკლესიასთან არსებული სკვერის შემოღობვის სამუშაოები 5138,78 ლ ა რ ი ადგილობრივი ბიუჯეტი

19 **დიდი ჩაილური**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჩაილურში სასმელი წყლის ქსელის მოწყობისა და სასმელი წყლის მილების შეცვლის სამუშაოები 54507,74 ლარი ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ბიუჯეტი

20 **დიდი ჩაილური** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჩაილურში სასმელი წყლის ქსელის მოწყობისა და სასმელი წყლის მილების შეცვლის სამუშაოები 54507,74 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

21 ქ.**საგარეჯო**: ქ. საგარეჯოში ფალიაშვილის ქუჩაზე სასმელი წყლის ქსელის მოწყობისა სასმელი წყლის მილების შეცვლის სამუშაოები 54507,74 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

22 **ნინოწმინდა** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის სასმელი წყლის რეზერვუარის რეაბილიტაციისა და სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები 37343,98 ლ ა რ ი ადგილობრივი ბიუჯეტი

23 ქ. **საგარეჯო:** საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქ. საგარეჯოსა და მისი სოფლებისთვის, სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლით) შეძენა-მონტაჟის სამუშაოები 69999,96 ადგილობრივი ბიუჯეტი

24 ქ. **საგარეჯო**: ქალაქ საგარეჯოში კახეთის გზატკეცილზე №9, №11, №13 და №15 კორპუსების ეზოების მოასფალტება-კეთილმოწყობის სამუშაოები 3 2 9 7 0 0 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

25 **საგარეჯო:** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში მცხოვრები ნოდარ ფეიქრიშვილის, ნინო ფეიქრიშვილის, მარიამ სარმანიძის, ელისო შიოშვილის, სოფელ მანავში მცხოვრები დავით ოზგელდაშვილისა და სოფელ უჯარმაში მცხოვრები ნატო წიკლაურის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლის სახურავის მოწყობის სამუშაოები 55337,1 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

26 **საგარეჯო:** ქ. საგარეჯოში მცხოვრები ნათელა გილაშვილის, მარინე დარბაისელის, მარინე ქარსაულიძე- ბაირამაშვილის, ლეილა ჭურჭელაურის, ვაჟა კიკონიშვილის, გიორგი მალახოვისა და გივი დალბაშვილის სტიქიის მიერ დაზიანებული სახლების სახურავების მოწყობის სამუშაოები 65507,45 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

## 2020 წლის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობა ციფრებში

### გარეჯის ხვავი და ბარაქა



**მევენახეობა**

ვენახის საერთო ფართობი – 5430ჰა

წელს გაშენდა 103 ჰა

მთლიანობაში სულ წარმოებულია 40000 ტონა ყურძენი

ყურძნის გადამამუშავებელ ქარხნებს ჩაბარდა ***27358 ტონა,*** – ფულად გამოსახულებაში ***27 809 000 ლარი***

**ყურძნის მოსავალი ჯიშების მიხედვით**

რქაწითელი – 24050 ტონა, ჩაბარდა 17287ტ – 14835000ლარი

საფერავი – 10635ტ ჩაბარდა 6556ტ – 10012000ლარი

მწვანე – 2300 ტონა, ჩაბარდა 1575ტ – 2000000ლარი

სხვა – 3015 ტონა, ჩაბარდა 1904ტ – 1062000 ლარი

**ხეხილის ბაღები**

კურკოვან-თესლოვანები – 838ჰა; 2020 წელს გაშენდა 13 ჰა

კაკლოვანები – 2314ჰა; 2020 წელს გაშენდა 496 ჰა

სუბტროპიკული – 42ჰა;

ხე-კენკროვანები – 7 ჰა (2020წ)

**წარმოებულია მოსავალი**

სუბტროპიკული – 35ტ;

კენკროვნები – 60ტ;

კაკლოვნები – 350ტ.

**მარცვლეული**:

ხორბალი 8800 ჰა – მიღებულია მოსავალი 16700ტ;

ქერი – 2750ჰა მიღებულია მოსავალი 4710ტ;

შვრია – 100ჰა მიღებულია მოსავალი 100ტ;

სიმინდი – 5500ჰა მიღებულია მოსავალი 25300ტ;

**მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი:**

**საერთო სულადობა** – 30160 სული;

მ.შ. ფური – 11640 სული;

ფურ-კამეჩი – 120 სული;

**სხვა ჩლიქოსნები:**

ღორი – 5540 სული

ცხვარი – 207000 სული

თხა – 8120 სული

**ფრინველი**:

სულ – 814950 ფრთა

მ.შ. ქათამი – 780500 ფრთა

ინდაური – 24150 ფრთა

ბატი – 700 ფრთა

**სხვა დანარჩენი** – 160 ფრთა

**ფუტკარი** – 4650 სკა

2020 წელს 2021 წლის მოსავლისათვის მოიხნა და დამუშავდა 10600 ჰა მიწის ფართობი.

საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოსავალს საფუძველი ჩაეყარა 9500 ჰა ფართობზე.

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის 11 თვის მერიის მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში

**გაგრძელება**

27 საგარეჯო ქალაქ საგარეჯოში კოსტავას ქუჩა 17-ში არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილისათვის ზედაპირული ტუმბოების შეძენა-მონტაჟისა და ქალაქ საგარეჯოში კახეთის გზატკეცილის 9 - 11 კორპუსების ეზოში არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილისათვის ტუმბოს კომპლექტით შეძენა-მონტაჟის სამუშაოები 10661 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

28 **საგარეჯო** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა სასოფლო გზების მოხრეშვის მიზნით, ქვიშა-ხრეშის ამოღების და მოხრეშვითი სამუშაოები 100000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

29 **საგარეჯო** ქ. საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები 13858,48 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

30 **ნინოწმინდა** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები 23668,34 ლ ა რ ი ადგილობრივი ბიუჯეტი

31 **თულარი**, კაზლარი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თულარი/კაზლარის ცენტრალურ დამაკავშირებელ გზაზე, მიმდინარე ა/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების დარჩენილი მონაკვეთზე. ა/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები 50095 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

32 **მზისგული** სოფელ მზისგულში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 113364,36 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

33 **ბურდიანი** სოფელ ბურდიანის წყალსადენის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა 115493,99 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტი

**სოფლის მხარდაჭერის პროგრამები**

1 **ანთოკ-მარიამჯვარი** სკვერის დასრულება 19 560,74 ლარი სოფლის პროგრამები

2 **პატარა ჩაილური** შიდა საუბნო გარე განათება 15 435,75 ლ ა რ ი სოფლის პროგრამები

3 **დიდი ჩაილური** შემოსასვლელი ხიდის რეაბილიტაცია ლარი 15 647,46 სოფლის პროგრამები

4 **ასკილაური** გარე განათება და წყლის სათავე ნაგებობა 9 859,57 ლარი სოფლის პროგრამები

5 **თოხლიაური** სასმელი წყლის სათვე ნაგებობის შემოღობვა 15 680,99 ლარი სოფლის პროგრამები

6 **ბურდიანი** გარე განათების მოწყობა 9 485,77 ლარი სოფლის პროგრამები

7 **გიორგიწმინდა** სოფელ გიორგიწმინდაში სპორტული ტრენაჟორების მოწყობა 19 500,43 ლარი სოფლის პროგრამები

8 **გომბორი** გარე განათების მოწყობა 15 471,12 ლარი სოფლის პროგრამები

9 **გორანა** სათავე ნაგებობის მოწყობა 9 722,57 ლარი სოფლის პროგრამები

10 **ქვემო სამგორის დასახლება** გარე განათების მოწყობა 9 485,91 ლარი სოფლის პროგრამები

11 **ყანდაურა** გარე განათების მოწყობა 19 484,77 ლარი სოფლის პროგრამები

12 **დუზაგრამა** სასმელი წყლის გამოყვანა 5 931,63 ლარი სოფლის პროგრამები

13 **ბადიაური** გარე განათების მოწყობა 19 783,10 ლარი სოფლის პროგრამები

14 **დუზაგრამა-პალდო-წიწმატიანი** სანიაღვრე არხის გაწმენდა 40 847,00 ლარი სოფლის პროგრამები

15 **ვაშლიანი** გარე განათების მოწყობა 9 907,16 ლარი სოფლის პროგრამები

16 **ვერონა** წყალი ცალკე ხაზი 9 682,80 ლარი სოფლის პროგრამები

17 **ვერხვიანი** სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა 15 618,54 ლარი სოფლის პროგრამები

18 **ზემო ლამბალო** გარე განათების მოწყობა 19 363,70 ლარი სოფლის პროგრამები

19 **ზემო ყანდაურა** ორმოულების დამუშავება 9 765,26 ლარი სოფლის პროგრამები

20 **თულარი** გარე განათების მოწყობა 19 340,16 ლარი სოფლის პროგრამები

21 **იკვლივ-გორანა** გარე განათების მოწყობა 9 473,43 ლარი სოფლის პროგრამები

22 **იორმუღანლო** გარე განათების მოწყობა 19 428,67 ლარი სოფლის პროგრამები

23 **იორმუღნლო-ქეშალო** მ ი ნ ი სტადიონის მოწყობა 19 498,43 ლარი სოფლის პროგრამები

24 **კაზლარი** გარე განათების მოწყობა 19 461,47 ლარი სოფლის პროგრამები

25 **კაკაბეთი** სოფელ კაკაბეთში მინი სტადიონის მოწყობა 19 537,37ლარი სოფლის პროგრამები

26 **კოჭბაანი** გარე განათების მოწყობა 9 438,02 ლარი სოფლის პროგრამები

27 **მანავი** გარე განათების მოწყობა 19 411,08 ლარი სოფლის პროგრამები

28 **მზისგული** სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია 15 609,98 ლარი სოფლის პროგრამები

29 **მუხროვანი** სანიაღვრე არხის მოწყობა 9 720,58 ლარი სოფლის პროგრამები

30 **ნინოწმინდა** გარე განათება და სასაფლაოს გზა 19 439,88 ლარი სოფლის პროგრამები

31 **ოთარაანი** წყლის სათვე ნაგებობა 9 708,33 ლარი სოფლის პროგრამები

32 **პალდო** გარე განათების მოწყობა 4 794,90 ლარი სოფლის პროგრამები



33 **პატარძეული** ადმინისტრაციული შენობა, ან ხიდის რეაბილიტაცია 19 595,81 ლარი სოფლის პროგრამები

34 **რუსიანი** გარე განათების მოწყობა 9 771,60 ლარი სოფლის პროგრამები

35 **სათაფლე** სასმელი წყლის ტუმბო და მილი 11 248,92 ლარი სოფლის პროგრამები

36 **სასადილო** გარე განათების მოწყობა 9 471,53 ლ ა რ ი სოფლის პროგრამები

37 **უდაბნო** სკვერის



მოწყობის სამუშოები 17 198,39 ლარი სოფლის პროგრამები

38 **უჯარმა** წყალშემკრების მოწყობა 15 657,31 ლარი სოფლის პროგრამები

39 **ქვემო ლამბალო** გარე განათების მოწყობა 19 363,70 ლარი სოფლის პროგრამები

40 **შიბლიანი** სანიაღვრე არხი 15 673,15 ლარი სოფლის პროგრამები

41 **წყაროსთავი** გარე განათების მოწყობა 15 450,12 ლარი სოფლის პროგრამები

42 **ხაშმი** სკვერის მოწყობა 19 593,67 ლარი სოფლის პრგრამები

**სკოლები**

1 სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **მუღანლოს საჯარო სკოლა** სველი წერტილის რეაბილიტაცია - შენობის შიგნით მოეწყობა სველი წერტილები, კეთდება სეპტიკი, რომელზედაც მოხდება მოწყობილი სველი წერტილების დაერთება. 66115,4 ლარი

2 სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **პატარა ჩაილურის საჯარო სკოლა** სველი წერტილის რეაბილიტაცია - შენობის შიგნით ეწყობა სველი წერტილები, რომელიც დაუერთდება არსებულ საკანალიზაციო ორმოს. 41888,45 ლარი

3 სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **მზისგულის საჯარო სკოლა** სველი წერტილის რეაბილიტაცია - არსებულ შენობაზე ხდება ახალი შენობის მიშენება რომელზედაც მოხდება სველი წერტილების მოწყობა, ასევე მოეწყობა სეპტიკი, რომელზედაც მოხდება მოწყობილი სველი წერტილების დაერთება. 97735,6 ლარი

4 სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **ყანდაურის საჯარო სკოლა** სველი წერტილის რეაბილიტაცია - შენობის შიგნით მოეწყობა სველი წერტილები, რომლებიც დაუერთდება არსებულ საკანალიზაციო ორმოს. 34102 5 ს ს ი პ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **დიდი ჩაილურის საჯარო სკოლა** სველი წერტილის რეაბილიტაცია - დამატებით მოეწყობა ერთი სველი წერტილი 41391,95 ლარი

6 სსიპ ქალაქ **საგარეჯოს №3 საჯარო სკოლა** სველი წერტილის რეაბილიტაცია -არსებულ შენობაზე ხდება ახალი შენობის მიშენება, რომელზედაც მოხდება სველი წერტილების მოწყობა, ასევე მოეწყობა სეპტიკი, რომელზედაც მოხდება მოწყობილი სველი წერტილების დაერთება. 110087,86 ლარი

7 სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **უჯარმის საჯარო სკოლა** სველი წერტილის რეაბილიტაცია - არსებულ შენობაზე ხდება ახალი შენობის მიშენება, რომელზედაც მოხდება სველი წერტილების მოწყობა,ასევე მოეწყობა სეპტიკი 107635,14 ლარი

8 სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **დუზაგრამის საჯარო სკოლა** სველი წერტილის რეაბილიტაცია - არსებულ შენობაზე ხდება ახალი შენობის მიშენება რომელზედაც მოხდება სველი წერტილების მოწყობა 108714,89 ლარი მიმდინარე

9 ს ს ი პ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ **კოჭბანის საჯარო სკოლა** ს ვ ე ლ ი წერტილის რეაბილიტაცია - მოხდება არსებული სველი წერტილების მოპირკეთება, რეაბილიტაცია 63990,93 ლარი

**სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები**

1 **საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება.** სველი წერტილის და სამზარეულოს მოწესრიგება 10961,7 ლარი

2 **საგარეჯოს №3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება** ს ვ ე ლ ი წერტილის და სამზარეულოს მოწესრიგება 8662,09 ლარი

3 **ყანდაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება** სველი წერტილის და სამზარეულოს მოწესრიგება 12425,66 ლარი

4 **ვერხვიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება** სველი წერტილის და სამზარეულოს მოწესრიგება 2262,76 ლარი

5 **პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება** ს ვ ე ლ ი წერტილის და სამზარეულოს მოწესრიგება 8625,9 ლარი

6 **თოხლიაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება** ს ვ ე ლ ი წერტილის და სამზარეულოს მოწესრიგება 11112,06 ლარი

7 **გიორგიწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება** – სველი წერტილის და სამზარეულოს მოწესრიგება 7672,02 ლარი

8 **ხაშმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება** სველი წერტილის და სამზარეულოს მოწესრიგება 16269,21 ლარი

9 **უდაბნოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება** სველი წერტილის და სამზარეულოს მოწესრიგება 4069,89 ლარი

10 **დუზაგრამის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება** სველი წერტილის და სამზარეულოს მოწესრიგება 24822,87 ლარი

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი მანავი**

მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობა მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობა-ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით 1402 490,0 ლარი

**განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური**

2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი ახალგაზრდული ღონისძიებების კუთხით - 29600 ლარი აღნიშნული თანხა შემცირდა 15000 ლარით; წლის განმავლობაში დასახარჯი თანხა - 14600 ლარი;

ტრანსპორტირების ხარჯი - 5000 ლარი.

განხორციელდა 9 ღონისძიება; 31 დეკემბრამდე განხორციელდება კიდევ 4;

***შენიშვნა: მიმდინარე წელს, ქვეყანაში, კორონა ვირუსის გავრცელების გამო შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მასობრივი ღონისძიებების ჩატარების შეზღუდვის გამო, სამსახურის მიერ სრულად ვერ განხორციელდა სამუშაო გეგმით გათვალისწინებული და პროგრამული ბიუჯეტით დამტკიცებული ახალგაზრდული ღონისძიებები.***

მიმდინარე წლის ნოემბრის თვის მონაცემებით, ახალგაზრდული ღონისძიებების

*გაგრძელება მე-5 გვერდზე*

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის 11 თვის მერიის მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში

### გაგრძელება

განსახორციელებლად დარჩენილია 10 937,88 (ათი ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი ლარი და 88 თეთრი) ლარი, აღნიშნული თანხა წლის ბოლომდე გაიხარჯება შემდეგ აქტივობებში:

1. მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული ახალგაზრდების და სამსახურის ერთობლივი პროექტი - „ეფექტური საჯარო გამოსვლები", შეზღუდვების არარსებობის შემთხვევაში ჩატარდება 30 ახალგაზრდის მონაწილეობით, დაბა ბაკურიანში, მოწვეული ტრენერის მეშვეობით.

ბიუჯეტი - 5900 (ხუთი ათას ცხრაასი) ლარი;

2. ლიტერატურული კონკურის „ნატვრის ხე" - ფულადი ჯილდო - 300 ლარი;
3. ლიტერატურული კონკურსი „მირანდუხტი" - ფულადი ჯილდო 300 ლარი;
4. დარჩენილი თანხით შეძენილ იქნება საახალწლო სათამაშოები, საჩუქრად ბავშვებისთვის სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებიდან.

### განათლების კუთხით

**ღონისძიებების** ბიუჯეტი წლის დასაწყისში: 5 200 ლარი; შემცირდა: 3 800 ლარით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის 29 დაწესებულება და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ლამბალოს 2 ალტერნატიული ჯგუფი, სულ: 64 სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფი. სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში რეგისტრირებულია 1400 აღსაზრდელი. სულ გაერთიანებას ემსახურება 351 თანამშრომელი შტატით და 13 ხელშეკრულებით.

**ეთნიკური უმცირესობებისათვის** ფუნქციონირებს სოფ. დუზაგრამის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და ლამბალოს 2 სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული ჯგუფი.

საჯარო სკოლებს ვეხმარებით სხვადასხვა საკითხებში (ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება, მოსწავლეთა ექსკურსიების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ);

. საქართველოს ეროვნულ ინტელექტ–ჩემპიონატში „ეტალონი", კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეს **ლუკა კოტორაშვილს** და ჩემპიონატის აქტიურ მონაწილეს **ტატო სულიკაშვილს**, დაენიშნათ სტიპენდია თვეში 100 ლარი, წამახალისებელი ჯილდოს სახით, ერთი წლის განმავლობაში, მიმდინარე წლის იანვრიდან.

**შენიშვნა**: დაგეგმილიდან განხორციელდა მხოლოდ მედია-პროექტ „ეტალონში" გამარჯვებული მოსწავლეების 1 წლის განმავლობაში სტიპენდიით უზრუნველყოფის ღონისძიებები: პატარძეულის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე ლუკა კოტორაშვილის და საგარეჯოს 3 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე ტატო სულიკაშვილის (შშმ პირი, „ეტალონში" აქტიური მონაწილეობისთვის).

### კულტურა და ძეგლთა დაცვა

**წლის** განმავლობაში განხორციელდა 11 ღონისძიება

- ძველით ახალი წლის კონცერტი -1282.10 (ერთი ათას ორას ოთხმოცდაორი ლარი, 10 თეთრი) ლარი;
- შპს „ახალი თაობის" (დირექტორი: მალხაზ მელქუაშვილი) მუსიკალური კონკურსის პროექტის დაფინანსება - 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი;
- ახმეტაში გულშემატკივართა ტრანსპორტირება 2 მიკროავტობუსით, კონკურსის „ახალი თაობა" ფინალურ კონცერტზე, 20 იანვარს - 528 (ხუთას ოცდარვა) ლარი;
- ილია ჭავჭავაძის საქველმოქმედო ფონდის მიერ, 5 თებერვალს, სოფ. უდაბნოს საჯარო სკოლაში ჩატარდა წიგნის კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- განხორციელდა გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი ჩანაწერების დაფინანსება. ჩანაწერების ჩვენება მიმდინარეობდა საბავშვო ტელევიზია „ენკი-ბენკის" ეთერში, მიმდინარე წლის 10 თებერვლიდან ერთი თვის განმავლობაში. სატელევიზიო მომსახურების ღირებულება შეადგენდა 1845 (ერთი ათას რვაას ორმოცდახუთი) ლარს.
- ფულადი ჯილდო 1000 (ათასი) ლარი გადაეცა საბავშვო მუსიკალური პროექტის „**რანინა**" გამარჯვებულს, სოფ. პატარა ჩაილურის საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეს ***გიორგი როსტიაშვილს***, რომელიც წარადგენდა საქართველოს საბავშვო ევროვიზიაზე პოლონეთში, „გლივიცა არენაზე" 2019 წლის 24 ნოემბერს და დაიკავა მე-14 ადგილი.
- 12 აგვისტოს, „დიდგორობის" სახალხო დღესასწაულზე, ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანების ანსამბლების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა, 3 სატრანპორტო საშუალებით; ხარჯი: 756 (შვიდას ორმოცდათექვსმეტი) ლარი;
- სოფ. პატარძეულში, ბილანიშვილების საგვარეულო ე.წ. „ბუტულაანთ" ციხესა და სოფ. ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის გალავნის კოშკებზე, მორღვეული ქვის ფენების მოსახსნელად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 3780 (სამი ათას შვიდას ოთხმოცი) ლარი;

**შენიშვნა**: ***2020 წლის ბიუჯეტი წლის დასაწყისში: 141 700; შემცირდა წლის განმავლობაში, კულტურის ობიექტების აღჭურვის კუთხით: 43 000-ით, (დარჩა 14 000);***

***კულტურული ღონისძიებები - 60 000 ლარით, (გადავიდა სარეზერვო ფონდში, პანდემიასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებებისთვის)***





### სპორტული ღონისძიებები

ბიუჯეტი წლის დასაწყისში: 39 000 ლარი;

მათ შორის, ტრანსპორტირება: 11000 ლარი;

დახარჯულია: 9540 ლარი;

დარჩენილია: 1460 ლარი;

განხორციელდა 15 ღონისძიება.

### პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური შედგება მეორადი სტრუქტურული ერთეულების, განყოფილებებისგან, ესენია: ქონების მართვის და ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილება. სამსახური ხელმძღვანელობს „საქართველოს კონსტიტუციით", საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

### ქონების მართვის განყოფილება

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული, ქონების მართვის განყოფილება ამზადებს წინადადებებს, დასკვნებს და რეკომენდაციებს მუნიციპალური ქონებით სარგებლობისა და განკარგვის საკითხებზე, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების აღრიცხვას, ინვენტარიზაციას, მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნას, განახლებას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების რეგისტრაციას, ამზადებს დოკუმენტაციას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით განყოფილება აგზავნის მიმართვებს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, იუსტიციის სამინისტროსთან, სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციასთან, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან. განყოფილება აქტიურად პასუხობს ჩვენი მუნიციპალიტეტის მოქალაქეების განცხადებებს პირდაპირ და დისტანციურ რეჟიმში.

2020 წელს მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დაურეგისტრირებელი საბავშვო ბაღები და ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები. საანგარიშო პერიოდში ქონების მართვის განყოფილების მიერ გამოიცა 68 (სამოცდარვა) ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი: ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ, ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების შესახებ, საკუთრების უფლების წარმოშობის შესახებ, მოიჯარის შეცვლის შესახებ და სხვა.

2020 წელს განყოფილებამ განახორციელა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დაურეგისტრირებელი მიწების იდენტიფიცირება, იდენტიფიცირების შემდეგ, მერიის დაკვეთით მომზადდა საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზები და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად 2020 წელს დარეგისტრირდა 225 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მომზადებულია შესაბამისი დოკუმენტაცია და წლის ბოლომდე დარეგისტრირდება კიდევ 60 ჰამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

ქონების მართვის განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან და დამოუკიდებელ აუდიტორულ კომპანიებთან (35 მოთხოვნა ქონების შეფასების შესახებ), მათ მიერ ქონების შეფასების შემდეგ საუქციონედ მომზადდა მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონება (სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, შენობ-ნაგებობები). 2020 წელს, ჩვენს მიერ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებ გვერდზე "eauqtion.ge" გამოცხადდა 18 (თვრამეტი) ელექტრონული (პირობებიანი და უპირობო) აუქციონი, იჯარით გაიცა და გასხვისდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება. გაფორმდა სხვადასხვა სახის ხელშეკრულებები (იჯარა, უზუფრუქტი, თხოვება).

ქონების მართვის განყოფილებამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართა (10 მიმართვა) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის და გეგმის დამტკიცების შესახებ. მიმართა სახელმწიფო ორგანოებისათვის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებისათვის, მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებისათვის და სხვა ა.(ა)ი.პ-სათვის, შპსებისათვის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით და სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ (უსასყიდლო უზუფრუქტი, თხოვების ფორმა).

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ქონების მართვის განყოფილებას 2020 წელს საქართველოს კანონის „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" ფარგლებში გადმოეგზავნა დაახლოებით 4000 წერილი. რადგან სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის შემოსავლის ძირითად წყაროს და მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მიწის საკუთრებად რეგისტრაცია, ქონების მართვის განყოფილებას პანდემიის პირობებშიც არ შეუწყვეტია საჭირო დოკუმენტაციის მოძიება, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, ადგილზე საკითხის შესწავლა და გადაწყვეტილებების მიღება. ამის შემდეგ მზადდებოდა და მზადდება შესაბამისი დოკუმენტაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარსადგენად, სადაც საბოლოოდ სრულდება რეგისტრაციის პროცესი.

### ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილება

**ტურიზმის** პოლიტიკის ძირითადი პრინციპი არის ის, რომ მან უნდა უზრუნველყოს, მუნიციპალიტეტმა მიიღოს, რაც შეიძლება მაქსიმალური სარგებელი ტურიზმის ეკონომიკური და სოციალური შემოსავლებიდან. ტურიზმის პოლიტიკის საბოლოო მიზანი არის სახელმწიფოს პროგრესის გაუმჯობესება და თავისი მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის ფარგლებში, ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისა და ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, საგარეჯოში, როგორც ტურისტული პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და სხვა კულტურული მნიშვნელობის აქტივების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისთვის, მიმდინარე წელს დაიწყო მანავის ციხესთან მისასვლელი გზის მოწყობა, რომელიც ფინანსდება, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ისე საგრანტო თანხით. პროექტის საშუალებით მოხდება უკვე არსებული ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის სფეროს გაფართოება. გაიზრდება ქალბატონების ფუნქცია და როლი-ტრადიციული ქართული კერძებისა

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

№№1-2(231-232) 2021 წელი, 1-31 იანვარი

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის 11 თვის მერიის მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში

**დასასრული**

და რეწვის ნიმუშების პრეზენტაციისა და რეალიზაციის თვალსაზრისით. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალი ბიზნეს საქმიანობების ჩამოსაყალიბებლად, მათ შორის, ტურისტული პროდუქტებისა და შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

მიმდინარე წელს, სოციალურ სივრცეში შეიქმნა ოფიციალური გვერდი-Tourism/Sagarejo, სადაც მუდმივად თავსდება სიახლეები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ტურისტულ ობიექტებზე და ოფიციალური წყაროებიდან მიღებული საინფორმაციო მასალები ეკონომიკისა და ტურიზმის სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ.

ყოველი კვარტ ლის ბოლოს, განყოფილების თანამშრომელთა მიერ ხდება ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის მოძიება და შემდეგ განთავსება ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

მიმდინარე წელს, „ვიზით კახეთის“ მიერ მომზადდა კახეთის ღვინის გზის საინფორმაციო რუკა, რომელიც დახმარებას გაუწევს, როგორც ადგილობრივი ღვინის ტურიზმით დაინტერესებულ პირებს, ასევე, ინფორმაციას მიაწვდის უცხოელ ტურისტებს კახეთში არსებული ღვინის საწარმოებისა და მარნების შესახებ. აღნიშნულ რუკაზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული ყველა საწარმოსა და ღვინის მარნის შესახებ განთავსდა ინფორმაცია.

აქტიურად ვახორციელებთ ტურიზმის საკითხებზე ოფიციალურად შემოსულ წერილებზე შესაბამისი პასუხის მომზადებას. პერიოდულად ხდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-კურსების შემოთავაზება და შესაბამისად ვუზრუნველყოფთ დასწრებას.

მიმდინარე წლის 24 სექტემბერს, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის წარმომადგენელი - ვიტოლდ სარტორიუსი საგარეჯოს მუნიციპალიტეტს ეწვია, რათა ეხილა როგორ მიმდინარეობს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (სრიგპ) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის განხორციელების პროცესი.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების მიზნით, ***პოლონეთის ქალაქ ტარნობზრეგთან*** თანამშრომლობის შესახებ დაგეგმილი ვიზიტი სამწუხაროდ არ შედგა არსებული პანდემიის პირობების გამო. ამ ეტაპზე, ხელის შემშლელი ფაქტორებიდან გამომდინარე, საერთაშორისო მიმართულებით მუშაობა შეფერხებულია.

გლობალურმა პრობლემამ ტურიზმის მიმართულებით,განყოფილების პროგრამით განსაზღვრული მიზნები და გეგმებიც შეცვალა, თუმცა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ვირუსის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ვიზიტორების უსაფრთხოებისთვის დაიწყო აქტიური თანამშრომლობა სასტუმროებთან და კვების ობიექტებთან. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა შრომის ინსპექტორების მობილური ჯგუფი (ტურიზმის განყოფილების უფროსის ხელმძღვანელობით), რომელიც ყველა რეგისტრირებულ ტურისტულ ობიექტს აწვდიდა შესაბამის რეკომენდაციებს ჯანდაცვისა და მთავრობის მითითებების მიხედვით, ასევე, ახორციელებს პერმანენტულ მონიტორინგს.

### პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური

**ადმინისტრაციული** სამსახური-მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმის წარმოების განყოფილება

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წლის 01 იანვრიდან 01 ნოემბრამდე სულ შემოსულია 10373 კორესპონდენცია, აქედან 4119 მოქალაქეთა განცხადებებია, სადაც ითხოვენ მედიკამენტების თანხით დახმარებას, სამკურნალო-საოპერაციო თანხებს, უმწეოთა თავშესაფარს, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების დახმარებას, მოქალაქეთა ბინის ქირით უზრუნველყოფას, ავარიული და დაზიანებული სახლების შეკეთებას, მშენებლობა-ექსპლუატაციაში მიღების ნებართვას, ბინის პრივატიზებას.

საანგარიშო პერიოდში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსულია 3442წერილი, რომლებიც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დარეგისტრირებას, მიწის ფართის იდენტურობის დადგენას და საკუთრების უფლების აღიარების კომისიიდან ინფორმაციის გამოთხოვას ეხება.

მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსულია 33 წერილი, გუბერნიიდან - 215, სხვადასხვა სამინისტროდან - 182.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიიდან სულ გასულია 5046 დოკუმენტი. მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმიწარმოების განყოფილების მიერ

სისტემატურად ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებაზე კონტროლი და მათ მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულისა და შესაბამისობის შემოწმება.

მზადდება ტაბელების და შვებულების გრაფიკი, ასევე სამივლინებო მოწმობები. (სულ 252 სამივლინებო მოწმობაა გაცემული). იწერება საშვებულებო და სამივლინებო ბრძანებები.

მ/წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით მერიაში ხელშეკრულებით დასაქმებულია 16 თანამშრომელი.

არქივის თანამშრომლები უზრუნველყოფენ საარქივო დოკუმენტების მიღება-დამუშავება-შენახვას. აღნიშნულ პერიოდში მოხდა მერიასთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის დოკუმენტებისა და შესყიდვების განყოფილების მასალების ჩაბარება- დამუშავება.

### ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

**მიმდინარე** წელს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს ფუნქციის შესაბამისად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ საზოგადოება ოპერატიულად და სისტემატიურად იღებდა ინფორმაციას, როგორც მერიის სოციალურ ქსელში არსებული ოფიციალური გვერდიდან, ასევე, ვებგვერდიდან და 2020 წლის კონტრაქტორი საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით, რომლებსაც პარალელურ რეჟიმში ვაწვდიდით ინფორმაციას და ფოტო მასალას მოვლენების შესახებ.



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელ მიზნობრივ პროექტებში საზოგადოებისა და მერიის ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზება, მჭიდრო კონტაქტების დამყარება მოქალაქეებსა და ინტერეს ჯგუფებთან (არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესმენები, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები და სხვ.) მათი წინადადებების, შენიშვნების, მოსაზრებების დამუშავება, გაანალიზება პერმანენტულ რეჟიმში ხდებოდა. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდებოდა მონაცემთა ბაზის, არქივის შექმნა და ინფორმაციის ანალიზი;



ცენტრალურ მედიასთან ვაწარმოებდით მჭიდრო თანამშრომლობას და შემდეგ საეთერო სივრცეში გასული სიუჟეტებისა და რეპორტაჟების მედიამონიტორინგს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების, სოციალური პროგრამების, კულტურისა და განათლების სფეროში განხორციელებული სიახლეების შესახებ მუდმივ რეჟიმში ხდებოდა ინფორმაციის განთავსება და სიახლეების შესახებ მოქალაქეების კომენტარებისა და დისკუსიის პროცესში აქტიური ჩართულობა და განმარტებითი გზავნილები.

სოციალური ქსელის საშუალებით, 2020 წელს დაახლოებით შემოსულია 1000-ამდე შეტყობინება, რომელსაც მყისიერი პასუხი აქვს გაცემული და დროულად ხდება გადამისამართება შესაბამისი სამსახურების მიმართულებით.

მიმდინარე წელს, საგარეჯოს მერიის ოფიციალური გვერდი დამატებით 1700-მა მოქალაქემ გამოიწერა,რაც მნიშვნელოვნად აისახება გვერდის რეიტინგზე.

მერიაში, ამოქმედებულია ცხელი ხაზი, რომელიც 24 საათიან რეჟიმში პასუხობდა შემოსულ ზარებს და ყველა მოქალაქე იღებდა კომპეტენტურ რეკომენდაციას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ დაიგეგმა არაერთი ღონისძიება, რომელიც კულტურულ, სოციალურ, საგანმანათლებლო და შემეცნებით აქტივობას მოიცავდა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე მუდმივად ხდებოდა ინფორმაციის განთავსება. რამდენიმე ასეული პრესდაიჯესტია უკვე გამოქვეყნებული.

გარდა ამისა, საჯარო განხილვის შესახებ შემოსული კორესპონდენციის განთავსება, როგორც ვებგვერდზე, ასევე საინფორმაციო სტენდზე.

განყოფილება ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის შეხვედრებს, ტრენინგებსა და კონფერენციებს.

მუდმივად ხდებოდა საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, საინფორმაციო ბიულეტენების, ბუკლეტების, ბროშურების, ცნობარებისა და სხვა სახის ბეჭდვითი პროდუქციის მომზადება და გავრცელება, როგორც ქართულ, ასევე, აზერბაიჯანულ ენაზე.

საჭიროების შემთხვევაში, მერიის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის კვლევასაც ვახორციელებდით..

მერიის საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბიულეტენების მომზადება და მომართვის შემთხვევაში მათი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის, სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის მიწოდება, მერის ანგარიშების მომზადება და წარდგენა.

### იურიდიული სამსახური

**იურიდიული** სამსახური არის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელშიც დანიშნულია 7 საჯარო მოხელე.

იურიდიული სამსახურისამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „საქართველოს კონსტიტუციით“, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით; „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №35 დადგენილებით, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №12 დადგენილებით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

**იურიდიული სამსახურის ფუნქციებია:**

ა) მერის, მერიის სამსახურებისა და თანამდებობის პირების იურიდიული კონსულტირება, სამართლებრივი დასკვნების მომზადება;

ბ) მუნიციპალიტეტის თანამშრომელთათვის კონსულტაციების მიცემა საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში;

გ) მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული გარიგებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივ გამართულობის შემოწმება, მათი შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტებთან;

დ) მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში;

ე) მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვა სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ვ) საჯარო ინფორმაციის რეესტრის წარმოება;

ზ) საჯარო ინფორმაციის პროაქტიული წესით გამოქვეყნება;

თ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

ი)მოქალაქეთაგანცხადებების,საჩივრების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება;

კ) მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ცალკეული საკითხების განხილვა საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე;

ლ) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება;

მ) მერიის სამსახურებისა და ადმინისტრაციული ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მომზადება;

ნ) მერიის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურში მიღების, სამსახურებრივი გადაადგილების, გადაყვანის, გათავისუფლების, უფლებამოსილებათა შეჩერების, შვებულებაში გასვლის და მივლინების სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ო) მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამართლებრივ საკითხებზე კონსულტაციებისა და განმარტებების მიცემა;

*დასასრული მე-9 გვერდზე*

# იღბლიანი წელი – 2020
# ტელეშოუს „უპასუხე საქართველოს“ სუპერთამაშე და გამარჯვებული

*ბადრი დრეიძე – საქართველოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მენეჯერი, საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობი, საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინტელექტუალური კლუბის ხელმძღვანელი:*

## „– ერთი კარგი თვისება მაქვს, თუ რამე ვიცი, ყველაფერი მახსენდება!“...
## „– ბევრად კარგი სტუდენტი ვიყავი, ვიდრე მოსწავლე“...
## „– მინდა და დღესაც ვსწავლობ!“

*მაღალი ნიშნის მისაღებად არასოდეს უსწავლია და არც უბრძოლია, თუმცა მისმა „საკმაოდ ხანგრძლივმა“ სწავლა-განათლებამ წლები „ჩამოთვალა“ საშუალო სკოლის, საგარეჯოს პოლიტექნიკუმის, საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის მკაცრი, მომთხოვნი პედაგოგებისა და ლექტორების თვალწინ. აი, წიგნი კი, წიგნი, ძალიან უყვარდა და ახლაც, ნახევარი საუკუნის ასაკშიც ისეთივე ინტერესით კითხულობს ახალ წიგნს, როგორც ბავშვობის, მოსწავლეობის, სტუდენტობისას. ოღონდ, წაკითხულს მეორედ ვეღარ კითხულობს...*

*სახლის მეზობლად არსებულ მაშინდელ სარაიონო ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარებს ხშირად წიგნის თაროებზე წამოწოლილი, წიგნით ხელშიც უნახავთ წიგნთსაცავში, მაგრამ ფეხაკრეფით გამოსულან... ხშირად წიგნებიც აურ-დაურევია საინტერესო წიგნების ძებნისას, მაგრამ ბიბლიოთეკარ სულცხონებულ კატო გოდერძიშვილს უთქვამს კოლეგებისთვის: გაუშვით, ჩვენ დავალაგოთ, ხმა არ გასცეთო.*

*განა წიგნი არ ჰქონდა სახლში?! წიგნი კი არა, წიგნსაცავი, უზარმაზარი ბიბლიოთეკა. 37-ში პაპამისი – აგრონომი ვანო დრეიძე „მავნებლის“ იარლიყით დაიჭირეს და გადაასახლეს, იმ დღეებში ხომ გაზიდეს „პოსკებით“ წიგნები, ლამაზი, „ოქროსვარაყიანი“, სამი დღე თონე ახურეს თურმე იმ წიგნებით. მერე 1949 წელს გადაუსახლეს პაპა, მაშინაც გაზიდეს, რაც დარჩა, უზარმაზარი, იმ ბიბლიოთეკით (თუმცა 80-იან წლებში ხანძარმა შთანთქა სახლთან ერთად) კი სარგებლობდა, მაგრამ, აი, სარაიონო ბიბლიოთეკის წიგნების სუნი იზიდავდა პატარა ბიჭს შემდეგშიც.*

*სკოლაში უფრო მეტად შეიყვარა ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია...*

*მისი ქართულში გადმოცემული საგაკვეთილო ზომებს გაცდენილი მასალა ახლაც ახსოვთ კლასელებს;*

*ახლა თავად აქვს სანაქებო ბიბლიოთეკა.*

*და იტყვით, განა, რა მისცა წიგნების კითხვამ, ბიბლიოთეკების თაროებზე წიგნების „ქექვამ“?*

*ტექნიკუმში სწავლის შემდეგ, ეს სწავლაში შეუმჩნეველი ბიჭი „საზრიანთა კლუბის“ აუღებელი „ციხე-სიმაგრე“,. საყვარელ პედაგოგებს თინა ორკოშნელს, მაყვალა გილაშვილს, თალიკო მოსიაშვილს ეხმარებოდა კლუბის მუშაობაში.*

*90-იან წლებში რაიონში არსებული ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (უფროსი მაია ლაფაჩიშვილი) თანამშრომლებთან ერთად ინტელექტუალურ თამაშებს ატარებდა.. 2003 წელს საგარეჯოს ერუდიტ მასწავლებელთა ჯგუფი, რომელშიც ბადრი დრეიძესთან ერთად საგარეჯოს IV საჯარო სკოლის პედაგოგები მარადი ქურდოვანიძე, მანანა გილაშვილი და ქეთევან ქვ;ლივიძე იყვნენ, ჯერ კახეთში გავიდა მეორე ადგილზე (გარკვეული მიზეზების გამო), შემდეგ კი თბილისში, რესპუბლიკურ თამაშში პირველ ადგილზე, სადაც ბადრი გუნდის კაპიტანი იყო და საუკეთესო გუნდის კაპიტნის წოდება მიიღო. თამაში ზუსტად 6 საათი გაგრძელდა...*

*1993 წელს იყო საქართველოს ტელევიზიის I არხზე „ნაღდი შოუ“-ში მონაწილეობა, რომელიც სოსო მაზმანიანს და მერაბ ოდიშარიას მიჰყავდა. გუნდმა, რომელსაც „დეზინფექცია“ დაარქვეს, სუპერთამაშში პირველი ადგილი მოიპოვა. მაშინ ბადრისთან ერთად ვანო თოლომაშვილი, დათო კირვალიძე, ელისო კალმახელიძე და კიდევ ორი სხვა მონაწილეობდა.*

*შოუში „იღბლიანი ბორბალი“ 2012 წელს ბადრიმ ეგვიპტეში 2 პერსონაზე ტურისტული საგზური მოიპოვა და ეს საჩუქარი დისშვილის თორნიკე თოლომაშვილის სკოლის წარმატებით დამთავრებას საჩუქრად მიუძღვნა.*



*2020 წელი მართლაც არნახული წარმატებით დასრულდა. ბადრიმ შოუში „უპასუხე საქართველოს“ მონაწილის მეწყვილე, ასევე, ერუდიტ მანანა მაისურაძესთან ერთად 24 ათასი ლარი მოიგო.*

*ამ შოუს მსვლელობას მხოლოდ საქართველოში მცხოვრებნი არ ვადევნებდით თვალყურს, მხოლოდ ჩვენ არ ვიხილეთ სოციალურ ქსელებში შოუ, რომელშიც თავად შოუს წამყვანი დუტა სხირტლაძეც კი ვერ მალავდა ჩვეულ ინტერესს, აღფრთოვანებას... დიახ, ფეისბუქზე მას 12 იანვრისთვის უკვე 213 000 ნახვა ჰქონდა, იუთუბზე – 20 ათასზე მეტი.*

*შოუში „უპასუხე საქართველოს“ მონაწილეობა კი ბადრიმ თითქოს უფლის ნებასურვილით მიიღო. ყველაფერი კი იმით დაიწყო, როგორც ბადრი ამბობს:*

– სოციალურ ქსელში თამაში თითქმის აზარტული ხდება, ალბათ შეამჩნიეს ეს და რამდენიმემ კითხვაც დამისვა, რატომ შოუში „ვის უნდა 24 ათასი“ გამარჯვებულ მანანა მაისურაძესთან არ თამაშობო. და აი, ჩემთვის მოულოდნელად ტელევიზია „იმედის“ ამ შოუს პროდიუსერმა შემომთავაზა მანანა მაისურაძესთან ერთად თამაში.






მასაც თურმე შესთავაზეს ჩემთან ერთად თამაში. ეს ადვილი გადასაწყვეტი არ იყო, მაგრამ გავრისკეთ...

რა არის, იცით?! ერთი კარგი თვისება მაქვს. თუ რამე ვიცი, ყველაფერი ერთბაშად, დროულად მახსენდება; ჩემში აზროვნების ბლოკირება არც ახლა მომხდარა, ისე, ყოველთვის ქ-ნ მანანას ვუთმობდი „ასპარეზს“, საკმაოდ ნაკითხი, განათლებული, მოაზროვნე პიროვნებაა. მაგრამ, ალბათ, თქვენც ნახეთ, სუპერთამაშში უკვე რომ იტყვიან, „ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი“, იტყვით, თეატრალური ინსტიტუტდამთავრებულმა ყველაფერი უნდა იცოდეს თეატრზეო, მაგრამ, კითხვაზე „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურის ავტორის ცხოვრების შესახებ პასუხი იცით, როდის და სად მქონდა წაკითხული? სტუდენტობისას წიგნში „ისტორია ქართველ ადვოკატთა სასამართლო სიტყვებიდან“, სადაც სტოლერმანი 20 წლიან პატიმრობას ცოლის მკვლელობის გამო სწორედ ადვოკატის სიტყვამ გადაარჩინა...

აქვე მინდა ვაღიარო, რომ სტუდენტობისას უფრო კარგად ვსწავლობდი, ვიდრე მოსწავლეობისას. არ ვიცი, ალბათ იმიტომაც, რომ გვიან ჩავაბარე ინსტიტუტში, ან უფრო მეტად „ამოვიდგი ენა“ წაკითხულის, განცდილის მიმართ?! ვერ გეტყვით. გვიან (1988 წელს) ალბათ იმიტომაც ჩავირიცხე უმაღლეს სასწავლებელში, რომ სასწაულად კარგი ადამიანები შემხვედროდნენ, გამეცნო, დავმეგობრებოდი და მათთან ერთად გამევლო და გავიარო ცხოვრების წლები... კი, ასე იყო ასაკში (იცინის) და მოტივაცია გაჩნდა – უნდა მესწავლა და ვსწავლობდი კიდეც კარგად, ისე, მინდა და დღესაც ვსწავლობ.

***შოუს მსვლელობისას და დამთავრების შემდეგ ემოციები?*** – როგორ გავიხსენო, თუმცა ყველა გვხედავდა – თამაშის დროს მობილიზებული ვიყავი – უნდა მეთამაშა, მეაზროვნა, სწორი პასუხი მეთქვა, დამთავრების შემდეგ კი „გამოწურული ლიმონივით“ ხდება ადამიანი. საინტერესო იყო დუტა – ჭეშმარიტად ნიჭიერი, უნიჭიერესი შოუმენი, რომელიც ყოველთვის და ყველგან გულწრფელი გულშემატკივარია.

თუმცა თამაში 21 ივნისს იყო, ეთერში ახალი წლის წინა დღეებში გავიდა. მიხარია, სოციალურ ქსელებში კომენტარები, მილოცვები, აზრის გამოთქმა. მიხარია, რომ ახალგაზრდობა დაინტერესდა წიგნით, ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეობის სურვილით. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან, მაგალითად თოხლიაურის, წყაროსთავის, საგარეჯოს, პატარძეულის ლიცეუმისა და ასევე საჯარო სკოლების მოსწავლეები საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში არსებული ინტელექტუალური კლუბის წევრებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ინტელექტთამაშებში. და როცა იმარჯვებ, ახდენ შენი თავის რეალიზებას, იქვე ჩნდება მოტივაცია – ხვალაც რომ იყოს ასეთი ინტელექტთამაში, აუცილებლად მიიღებ მონაწილეობას, ისევ შენი ნიჭის, ცოდნის, განათლების გამოსავლენად, იმისთვის, რომ გადახედო შენს მიერ განვლილ წლებს, ცხოვრების გზას და მიხვდე – უქმად არ გაგიტარები, რაღაც სასარგებლო გაგიკეთებია.

## საპატიო გარეჯელი – თამარ ჯაბადარი

ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე დაწესებულებათა ქსელის დირექტორი:

**წელი-2020 – დაფასებული**

# „საგარეჯოს ერთი პატარა ნაწილი ვარ!“




### ღია წერილი

*ქ-ნო თამარ,*

*გილოცავთ იუბილესა და საპატიო გარეჯელის წოდებას!*

*თქვენი ღვაწლი იმდენად დიდია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მომავლის განვითარების საქმეში, რომ ეს წოდება მეცოტავება...*

*მინდა გულითადი მადლობა გადაგიხადოთ თითოეული ახალგაზრდის, მათი მშობლებისა და თქვენი კოლეგების სახელით - უდიდესი შრომისთვის, ენთუზიაზმისთვის, პასუხისმგებლობისთვისა და ყველა ემოციისთვის, რაც გაგიციათ და კვლავ გასცემთ!*

*თქვენ, ნამდვილად შეძელით ყველა სიძნელის გადალახვა, ბარიერების დამსხვრევა, სირთულეებთან გამკლავება და შედეგიც სახეზეა: თქვენი სამსახური ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა და კვლავაც იქნება!*

*გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, დღეგრძელობასა და მზეგრძელობას!*

*სიყვარულითა და პატივისცემით,*

*გიორგი ერბოწონაშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი***



**საგარეჯო..** ***თვალ-საგარეჯო...***

„ერთი პატარა კენჭი ვარ, საგარეჯოდან გადმოვარდნილი”-ო—წერდა პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი...

დიახ... ერთი პატარა კენჭი ვარ... საგარეჯოს შემადგენელი ნაწილი ვარ და მიყვარს ჩემი პატარა ქალაქი თავისი მაცხოვრებლებით... თავისი დადებითით და უარყოფითით... მიხარია ყველას წარმატება, მინდა ყველამ გაიგოს ჩემი გარეჯელების ყველაზე პატარა მიღწევის შესახებ... მწყინს ყველა უარყოფითი, ცუდი, დანაშაული და მინდა მალევე იყოს გამოსწორებული..

მემაყება გოგლა ლეონიძე, ვასილ გულისაშვილი, იოსებ იმედაშვილი, რეზო ინანიშვილი, ლადო ცხვარიაშვილი, ლევან თედიაშვილი და სხვები... მეამაყება ჩემი „ჯაბადარის სტუდია” – ხატიკაკლებთან რომ ჩაეყარა საფუძველი... მეამაყებიან ჩემი თანამშრომლები, ნამოწაფრები, ჩემი წარმატებული და განათლებული მეგობრები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ბევრნი არიან და ვინმე არ გამომრჩეს... ისინი ყველგან ამბობენ თავიანთ სათქმელს და მე მახარებს თითოეული მათგანის წარმატება!

მიხარია, საგარეჯოს რომ ჰყავს მარინა ურდულაშვილი – საგარეჯოს ბავშვთა ხელოვნების სკოლა-სტუდია „მი-რე-ლა”-ს ხელმძღვანელი, რომლის მოსწავლეებმაც საქართველოს გააცდინეს ჩვენი პატარა საგარეჯოს სახელი...

მიხარია, საგარეჯოს რომ ჰყავს „მოსიარულე ენციკლოპედია”—ბადრი დრეიძე, რომელმაც არა, ერთ ინტელექტუალურ რესპუბლიკურ თამაშში და სატელევიზიო შოუში მიიღო მონაწილეობა და თავისი სიტყვა თქვა, ამის დასტურად სულ ახლახანს შოუში „უპასუხე საქართველოს! ქალბატონ მანანა მაისურაძესთან ერთად უპრეცედენტოდ (არც ერთი დახმარება არ გამოუყენებიათ) მოგებული 24 000 (მაქსიმალური თანხა) ყოფნის! ... და ამაყი ვარ, რომ ის მოსწავლეთა სახლის ინტელექტუალურ კლუბს ხელმძღვანელობს და ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალურ განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს.

ასევე, ამაყი ვარ საოცარი მხატვრებით: – თამარ იორამაშვილი, ნინო ჯანგულაშვილი—ასევე მოსწავლეთა სახლის ხატვის კლუბის ხელმძღვანელი, დავით ივანიშვილი, რომლის გამოფენებიც ეწყობა მალტაზე, აშშ-ში, უკრაინაში, იტალიაში და იმედია კიდევ ბევრ ქვეყანაში მოეწყობა; ახალგაზრდა შემოქმედებით: თეა ბუზარიაშვილი, ლიკა მჭედლიშვილი, ქეთი ქიზიყელაშვილი,– რომელიც სულ ახლახანს აღმოვაჩინე...

ამაყი ვარ ჩემი პატარა სახალხო თეატრის უნიჭიერესი მსახიობებით: ნაირა ელმეთაშვილი, ნანული ბილანიშვილი, ნათელა დიღმელაშვილი, მარინა შიოშვილი, ირაკლი ლიპარტელიანი, პაატა ქვლივიძე, ფატი ღვინიაშვილი და სხვები...

თვალ-საგარეჯო—მართლაც „თვალია”—აქ მცხოვრებთ პოეზიის მუზამ უხვად გადააფერთხა კალთა: რომან ზუკაკიშვილი, ლეილა არჩემაშვილი, მარინა და თამარ ურდულაშვილები, ნინო ბურდიაშვილი, ლია შენგელიძე, მანანა დაბახიშვილი, მარინა შანიძე, მანანა ბურდული და სხვები გვანებივრებენ თავიანთი შემოქმედებით აქვე დავამატებ მარინა ურდულაშვილს, თამარ ანუაშვილს და მარინა შანიძეს, რომლებიც საოცარ მუსიკალურ ნაწარმოებებს ქმნიან..

მიყვარს საგარეჯო თავისი წარსულით, ახლანდელით და მომავლით! მე ხომ მისი ერთი პატარა ნაწილი ვარ, რომელსაც საგარეჯოს საპატიო მოქალაქეობა ერგო წილად! ეს ხომ დიდი პატივია! როდესაც ამის შესახებ დამირეკეს და მამცნეს, ცოტა არ იყოს გავოცდი,,, სიხარულის გაოცებასაც დავარქმევ ამას! გამიხარდა, ჩემი შეუმჩნეველი შრომა ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე, არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებული, „შეუმჩნეველი” არ დარჩენილა! დიდი იყო ჩემი ემოცია, როდესაც დამირეკეს და მითხრეს სახლში უნდა მოგართვათ ეს ჯილდო, გვინდოდა „გარეჯობაზე” გადმოგვეცა, მაგრამ პანდემიის გამო ვერ მოხერხდაო... და სულ ცოტა ხანში მუნიციპალიტეტის მერის ბატონ გიორგი ერბოწონაშვილის დავალებით მერიის წარმომადგენელი ქეთი გრატიაშვილი მეწვია უშველებელი და ულამაზესი თაიგულით... დიდი იყო ემოცია, როდესაც ბატონი გიორგის წერილს ვკითხულობდი... თან ვფიქრობდი, რით დავიმსახურე... საგარეჯოში ბევრი ადამიანი დადის, რომელიც ღირსია „საპატიო გარეჯელის” წოდება ატაროს... ნაფიქრი ხმამაღლა წარმოვთქვი და ქეთის მზა პასუხიც მივიღე: „ეტაპობრივად ყველა მიიღებს, ამჯერად ჯილდო თქვენია”...

,,ულრმესი მადლობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას, მერს- ბატონ გიორგი ერბოწონაშვილს უდიდესი დაფასებისა და ასეთი საპატიო ჯილდოსათვის და თბილი ბარათისათვის “საპატიო გარეჯელის” წოდება ჩემთვის დიდი პატივია და კიდევ უფრო მეტს მავალებს ჩემი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისათვის რომ ვიღვაწო... მარტო ერთი ადამიანი ვერასოდეს ვერაფერს შეძლებს , სწორედ ამიტომ მადლობას ვუხდი ჩემს თანამშრომლებს, სამეგობროს, ყველა თაობის ახალგაზრდას, ვისაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან შეხება ჰქონია, ჩემს პარტნიორ ორგანიზაციებს- საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს ცენტრს, საჯარო და კერძო სკოლების დირექციებს, სწჯს საგარეჯოს ფილიალს, სტუდია” მი-რე-ლა”-ს, კულტურის ობიექტების გაერთიანებას, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს-- ჩვენი პროექტების მხარდაჭერისათვის და მათში მონაწილეობისათვის, ჩვენი გაძლიერებისათვის, მადლობა ამერიკის „მშვიდობის კორპუსის” სხვადასხვა დროის მოხალისეებს საქართველოში„ რომლებთანაც მ.ა სახლი თანამშრომლობს 2003 წლიდან დღემდე.

წარმატება სხვანაირად არ მოიპოვება, მიყვარხართ ყველა

*თამარ ჯაბადარი*

***ა(ა)იპ-ი „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი***



# ფულადი ჯილდო სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ინიციატივით, 2019-2020 სასწავლო წლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსნებს ფულადი ჯილდო გადაეცათ.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ოქროს 31 მედალოსანს 200 ლარი, ხოლო ვერცხლის 4 მედალოსანს 150 ლარი გადაეცა.



**გაზეთ** „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წამყვან სპეციალისტს, ჩვენი გაზეთის აქტიურ, შტატგარეშე კორესპონდენტს გივი მათიაშვილს ძმის

**ბელა მათიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**გივი** დაბახიშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს გივი მათიაშვილს და მის ოჯახს ძმის

**ბელა მათიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის 11 თვის მერიის მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში

**დასასრული**

პ) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 24-ე მუხლის „გ“ პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით წარმოგიდგენთ 2020 წლის ანგარიშს:

დოკუმენტში მოცემულია დეტალური ინფორმაცია პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის მიერ 2020 წლის განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

- 2020 წლის 1-ლი იანვრიდან დღემდე იურიდიულ სამსახურში შემოსულია 1681 კორესპონდენცია, რომელსაც მოჰყვა სათანადო რეაგირება.
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, იურიდიულ სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 31 განცხადება, რომელთაგან 29 დაკმაყოფილებულია, ხოლო 2 მოთხოვნის პასუხზე მიმდინარეობს მუშაობა.
- არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების რაოდენობამ შეადგინა 03 (სამი) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი;
- 2020 წელს სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობამ შეადგინა 28, რომელთაგან დღეის მდგომარეობით მიმდინარეა 23 საქმე (ოცის წარმოება მიმდინარეობს პირველ ინსტანციაში, სამი გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში,), 03საქმეზე შეწყდა წარმოება, ხოლო ორ საქმეზე მიღებულია გადაწყვეტილება (ერთი დამთავრებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ).
- 2020 წლის აპრილიდან დღემდე, იურიდიული სამსახურის მიერ გაცემულია საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ 60 ცნობა.
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში 2020 წელს შემოსულია 443 განცხადება, რომლისგანაც 172 ამ ეტაპზე განსახილველია. 2020 წლის მანძილზე 13 ნოემბრის მდგომარეობით ჩატარდა კომისიის 15 სხდომა, რომელზეც გატანილ იქნა ჯამში 1219 განცხადება.
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტის დამდგენი კომისიის მიერ ჩატარებულია 5 სხდომა და გაცემულია 8 ცნობა მოქალაქის ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ.
- 2020 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერაში გამოცხადდა ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა კონკურსი 02 ვაკანტურ თანამდებობაზე (სულ ერთი კონკურსი) კონკურსის წესით შეივსო 02 ვაკანტური თანამდებობა.

საანგარიშო წლის განმავლობაში იურიდიული სამსახურის მიერ უზრუნველყოფილ იქნა:

- მერიის,მერიის სტრუქტურული ერთეულების თანამდებობის პირების, თანამშრომლების იურიდიული კონსულტირება, სამართლებრივი დასკვნების მომზადება;
- უწყვეტ რეჟიმში, მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების, ადმინისტრაციული გარიგებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივ გამართულობას, მათ შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან.
- იურიდიული სამსახური წარმოადგენდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას, როგორც სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაში,ასევე ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების/საჩივრების განხილვასა და შესაბამისი დასკვნების მომზადებას;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამართლებრივ საკითხებზე კონსულტაციებისა და განმარტებების მიცემას მომართვის შესაბამისად;
- მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

საანგარიშო პერიოდში იურიდიულ სამსახურში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა მიერ დისციპლინურ გადაცდომას ადგილი არ ქონია,შესაბამისად,მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომა არ გამოყენებულა.



**ზედამხედველობის განყოფილების 2020 წლის ანგარიში**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის განყოფილების მიერ 2020 წლის განმავლობაში ზედამხედველობის სპეციალისტების მიერ რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებზე კონტროლი, კერძოდ შემოწმებულ იქნა შემდეგი პროექტები:

- მუნიციპალიტეტის 8 სოფლის საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობა;
- გარე განათების მოწყობითი სამუშაოები 21 სოფელში (სოფლის პროგრამის ფარგლებში);
- 10 საბავშვო ბაღში სველი წერტილების მოწყობა;
- ორ სოფელში სკვერის მოწყობის სამუშაოები;
- სამ სოფელში მინი სტადიონის მოწყობა;
- ქ. საგარეჯოსა და სოფლებში გზების მოხრეშვა და მოსაფალტება;
- სოფელ უდაბნოში ჩატარდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია;
- ქ.საგარეჯოსა და რამოდენიმე სოფელში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის და ამორეცხვის სამუშოები
- სტიქიით დაზარელებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლის სახურავების შეცვლა;
- სოფელ გომბორში და ქ. საგარეჯოში საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრის მშენებლობა.

მიმდინარე წელს პანდემიასთან დაკავშირებით ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტების მიერ ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდებოდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული სავაჭრო ობიექტების შემოწმება და გაფრთხილება (რეკომენდაცია) შესაბამისი სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების თაობაზე, ყოველდღიურად ხორციელდებოდა ქ. საგარეჯოში მდებარე ბაზარში სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება. მუნიციპალიტეტში არსებული სასტუმროების შემოწმება მასში არსებული მდგომარების შესახებ. მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარეობდა სავაჭრო ობიექტების, საწარმო დაწესებულებების აღწერა–დასურათება და ინფორმაციის მიწოდება ყოველდღიურ რეჟიმში შესაბამის ზემდგომ უწყებებში.

2020 წლის იანვრის თვიდან გაუფორმდა დასუფთავების მოსაკრებლის ხელშეკრულება ქ.საგარეჯოსა და მის მიმდებარე სოფლებში არსებულ საწარმო-დაწესებულებებს და სავაჭრო ობიექტებს. დღეის მდგომარეობით დასუფთავების მოსაკრებლის თანხა შეადგენს 33721,38 ლარს.

ზედამხედველობის განყოფილების სპეციალიტების მიერ წლის განმავლობაში დაწერილია 37 მითითება უკანონოდ გამოვლენილ მშენებლობაზე, დაწერილია ერთი საჯარიმო ქვითარი (2000ლარი).

ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 29 მშენებლობა დამთავრებული ობიექტი.

*გიორგი ერბოწონაშვილი*
***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი***

## ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა 2020 წლის მიღწევები

**როგორც** მთელს ჩვენს ქვეყანაში „კოვიდ-19“-ის პანდემიამ 2020 წლის თებერვლიდან, ფეხბურთის გარდა, მთლიანად შეაჩერა და შეწყვიტა სპორტული აქტივობა. ჩვენს სპორტსმენებს მონაწილეობა არ მიუღიათ შეჯიბრებებში, თუ არ ჩავთვლით თებერვალში ორიოდე ასპარეზობას.

1-2 თებერვალს საგარეჯოში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2009-2010 წლის მოჭიდავეებში. აქ საგარეჯოელთაგან ჩემპიონები გახდნენ: ალექსანდრე ბექაური (თოხლიაური, 20 კგ), ზურა ფიფია (საგარეჯო,52კგ), საბა ტაბატაძე (57კგ, თოხლიაური) და ლუკა მარტიაშვილი (საგარეჯო, 59 კგ).

საქართველოს ჩემპიონობით დაასრულა თავისი ასპარეზობა ჭიდაობა ძიუდოში 15 თებერვალს კასპში გამართულ რესპუბლიკურ ტურნირზე (ჭაბუკებში) გიორგიწმინდის საჭიდაო სკოლის აღსაზრდელმა ძიუდოისტმა დავით კევლიშვილმა. ამ შეჯიბრში იგი 46 კგ წონით კატეგორიასი ასპარეზობდა და გამართული 5 ორთაბრძოლიდან ხუთივე სუფთად – იპონით მოიგო.

ანტალიის საერთაშორისო ტურნირზე ძიუდოში „ევროპის თასი-2020“ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ს. მზისგულის საჯარო სკოლის მოსწავლე თენგო ზირაქაშვილმა.

5 სექტემბერს გურჯაანის ს. ძირკოკში ჩატარებულ რესპუბლიკურ ტურნირზე ქართულ ჭიდაობასა და ფალავნობაში 85 კგ წონით კატეგორიაში II საპრიზო ადგილი დაიკავა სხვადასახვა ასაკში საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონმა კობა მჭედლიშვილმა.

წლის ყველაზე დიდი სპორტული მიღწევა კი ფეხბურთელებს ეკუთვნით – „გარეჯი-1960“-მა მესამე ლიგა მოიგეს და მეორე ლიგის საგზური მოიპოვეს.

**სპორტი**

## ჩემპიონობასთან ერთად – მეორე ლიგა

**გარეჯული** ფეხბურთი თავისი არსებობის 6 ათეულ წელზე მეტს ითვლის. ეს ისტორია პირობითად შეიძლება ორ ეტაპად დაიყოს: პირველი – ე.წ. საბჭოთა და მეორე – დამოუკიდებლობის პერიოდის. საბჭოთა პერიოდიდან აღსანიშნავია 1967 წელს „გარეჯის“ ფეხბურთელების გამარჯვება აღმოსავლეთ საქართველოს ზონის გუნდებში,რის შედეგადაც მან უფლება მოიპოვა ეთამაშა საქართველოს ჩემპიონატის ფინალში, სადაც მისი მეტოქე აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოს ზონის გუნდებში გამარჯვებული სამტრედიის „მერცხალი“. ამ ფინალურ მატჩში გარეჯელმა ფეხბურთელებმა 1:0 დაამარცხეს სამტრედიელები და გახდნენ საქართველოს ჩემპიონები. ამ შედეგით მათ მოიპოვეს „ბ“ კლასში თამაშის უფლება, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო ვერ შეძლეს ამ შანსის გამოყენება. იმავე 1967 წელს „გარეჯი“ საქართველოს თასის მფლობელი გახდა, ხოლო 1969 წელს საქართველოს ნსს „კოლმეურნეს“ რესპუბლიკური საბჭოს მიერ ჩატარებული „ოქროს თავთავის“ თასის მფლობელი.

გარეჯული ფეხბურთის ისტორიაში ახალი ერის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს 2018 წელს საფეხბურთო კლუბ „გარეჯი-1960“-ის ჩამოყალიბება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჩვენი წყაროსთაველი თანამემამულე, ამ ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ლაზარე დათუნაშვილი. იმ წლის საფეხბურთო სეზონზე „გარეჯი-1960“ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის V ლიგაში თამაშობდა და შეძლო IV ლიგაში გადასვლა. 2019 წელს კი III ლიგაში გადაინაცვლა. ამ ლიგაში ითამაშა გუნდმა გასულ 2020 წელს და მიუხედავად „კოვიდ-19“-ის პანდემიის მიერ შექმნილი მთელი რიგი პრობლემებისა, გუნდის ხელმძღვანელობისა და სამწვრთნელო შტაბის (მთავარი მწვრთნელი თენგიზ კობიაშვილი, მთ. მწვრთნელის თანაშემწე დავით დიღმელაშვილი, ნესტორ მუმლაძე, ასისტენტები – დავით მაისურაძე, რეზო ხებრელაშვილი) გატარებული ღონისძიებების შედეგად შეძლო ლიგის ჩემპიონობის მოპოვება და მეორე ლიგაში გადასვლა. ფაქტობრივად მათ ეს ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე გაინაღდეს. ამ წარმატებას საფუძველი 17 ოქტომბერს საგარეჯოს სტადიონზე თბილისის „სპაერთან“ ასპარეზობისას ჩაეყარა, როცა მათ 4:3 დაამარცხეს თბილისელი მეტოქეები და სათავეში ჩაუდგნენ სატურნირო ცხრილს.ეს თამაში იმითაც იყო შესანიშნავი, რომ პირველ ტაიმში მიღებული 3 უპასუხო გოლის შემდეგ მეორე ტაიმში შეძლეს ანგარიშის არათუ გათანაბრება, არამედ მატჩის მოგებაც, რამაც მათ უფრო მეტი თავდაჯერებულობა და რწმენა შემატა შემდგომ მატჩებში საბრძოლველად.

თითქმის იგივე სცენარით წარიმართა გარეჯელთა მატჩი გურიაში,რომელსაც ისინი პირველი ტაიმის შემდეგ 2:4 აგებდნენ, მაგრამ შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და მატჩის 5:4 მოგება.

არ შეიძლება არ აღნიშნოს „გარეჯი-1960“-ის წარმატება, რასაც მათ მიაღწიეს ბოლოსწინა მატჩში გათამაშების ფავორიტსა და II ლიგაში გადასვლის მთავარ მეტოქესთან – ფოთის „კოლხეთთან“. ეს მატჩი 9 ნოემბერს გაიმართა ნეიტრალურ სტადიონზე და საგარეჯოელებმა მეტოქე 3:1 დაამარცხეს. ამ შეხვედრის შემდეგ მათ ფოთელებს 5 ქულით გადაასწრეს და მიუწვდომელი გახდნენ დანარჩენი გუნდებისათვის.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია „გარეჯი-1960“-ის ხელმძღვანელობასა და ფეხბურთელებს ულოცავს ამ დიდ გამარჯვებას და ვუსურვებთ ასეთივე წარმატებული გამოდგეს მისი თამაშები მეორე ლიგაში.

აქვე წარმოგიდგენთ „გარეჯი-1960“-ის ფეხბურთელთა იმ შემადგენლობას, რომელთაც ეს ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს გარეჯული ფეხბურთის ისტორიაში. ესენი არიან: მინია ბობღიაშვილი, გუგა ახალკაცი, ნიკა შერმადინი, გიორგი ხუმარაშვილი, ნიკა ნოზაძე, ილია გუჯარაიძე, ოთარ მოსულიშვილი, ნოდარ ბარამიძე, ვანო კურდღელაშვილი, გიორგი ჯოხაძე, ბიჭიკო გედენიძე,, ნიკა გალახვარაძე, გიორგი ბერდიას ძე ტყეშელაშვილი,გიორგი თამაზის ძე ტყეშელაშვილი, თორნიკე მოსიაშვილი, ზურაბ ძამსაშვილი, სტივენ ბერმუდესი, ბესიკ ჩიმაკაძე, ნ. მუმლაძე და სხვა.

*გივი დაბახიშვილი*



## 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა!

# საგარეჯოს სახალხო თეატრი 145 წლისაა

# „ჩვენს თეატრს უდიდესი და მეტად საინტერესო ისტორია აქვს“

***დიახ, ჩვენი თეატრი 145 წლისაა!***

*„მერე რაა, რომ წლები გავიდნენ*
*ბზარიც გამიჩნდა ხმაში,*
*ჩემო კედლებო ისევ მიყვარხართ,*
*როგორც მიყვარდით მაშინ...“*

***საგარეჯოს მიხეილ ჭიაურელის სახელობის სახალხო თეატრის დღევანდელი შენობის მშენებლობის დაწყება-დამთავრებას მართლაც დიდი ინტერესით ელოდა ათეული წლების განმავლობაში მთელი რაიონი. საძირკვლის ჩაგდების დღიდან აქ ისეთი ტემპით მიმდინარეობდა მშენებლობა, რომ ზუსტად ერთი თაობის დაბადებას, გაზრდას და ცხოვრებისეულ გზაზე გასვლას მოესწრო მისი კარების გახსნა. ამის მომსწრე მე თავად ვარ, როცა ახლად უნივერსიტეტდამთავრებულმა იმდროინდელი რაიონული გაზეთის „ივრის განთიადის“ რედაქციაში დავიწყე მუშაობა. დიახ, გაზეთის თანამშრომლები 1979 წლის სექტემბრის ბოლო კვირას საღებავების სუნით გაჟღენთილი შენობის მესამე სართულის ბინადარნი გავხდით...***

***შენობა ახალი, მაგრამ თეატრი დიდი, საამაყო ისტორიით, უნიჭიერესი მსახიობებით წარსდგა საზოგადოების წინაშე.***

***დღეს საგარეჯოს მ. ჭიაურელის სახელობის სახალხო თეატრის დაარსების შესახებ გვესაუბრება ამავე თეატრის მსახიობი, 30-იან წლებში თეატრალური საზოგადოების მდივნის – ვანო დრეიძისა და თეატრის პრიმა-მსახიობის – ირინე ჯაფარიძის შვილიშვილი, თეატრის „მემატიანე“ ბადრი დრეიძე. შეგახსენებთ, რომ ბადრის და ირინე წარმატებით აგრძელებს ბებიის მიერ გაკვალულ გზას, ისიც ჩვენი თეატრის მსახიობია.***



– წარმომიდგენია რა ხდებოდა 145 წლის წინ საგარეჯოს დაწყებითი სკოლის შენობაში, პატარა სოფელში იმართებოდა სახილველი....ციმბირის გადასახლებიდან ახლადდაბრუნებულ თოხლიაურელ თავად ლევან ჩერქეზიშვილის რეჟისორობით იდგმებოდა ალექსანდრე ცხვედაძის პიესა "ბედნიერი ქორწილი"...წლები გავიდა თეატრმა მოიარა საგარეჯოში არსებული ყველა მოზრდილი სახლი თუ ბეღელ-აივანი და 1914 წელს მოსახლეობის შემოწირულობით აშენდა საკუთარი თეატრი, რომელიც საზოგადოებას ემსახურებოდა 1981 წლამდე. ამაგიანი იყო შენობა, მაგრამ ვეღარ აკმაყოფილებდა გარეჯელი მაყურებლების მოთხოვნებს და რაიკომის იმდროინდელი პირველი მდივნის მედიკო მეზვრიშვილის დიდი ვაჟკაცობით გაიხსნა 1958 წლის მარტის თვეში საძირკველჩაყრილი მესამე პროექტზე აშენებული დიდებული კულტურის სასახლე. გაგიკვირდებათ და 30-იან წლებში საგარეჯოში საკუთარი თეატრალური საზოგადოებაც არსებობდა, რომლის მდივანიც პაპაჩემი ვანო დრეიძე გახლდათ. იმდროინდელი თეატრის დასს წარმოადგენდა საგარეჯოელი ინტელიგენციის წარმომადგენლები. სხვათაშორის ბებიაჩემი ირინე ჯაფარიძე თეატრის პრიმა მსახიობი გახლდათ, მონაწილეობდა როგორც დრამატულ, ასევე, საოპერეტო წარმოდგენებში....არ გაგიკვირდეთ, მაშინდელ თეატრში ოპერეტებიც იდგმებოდა.....ვის არ ნახავდით მაშინდელ დასში: დარია მაისურაძე, ელენე გოდერძიშვილი, /კნიაზ კოლა/ ნიკოლოზ ქვლივიძე - საგარეჯოს თეატრის პირველი დირექტორი 1914 წელს/ ,ძია კოლა/ ნიკოლოზ ქურდოვანიძე, იაშა ანუაშვილი, გიგა დოლენჯაშვილი....შემდეგ თეატრს შემოემატნენ ახალგაზრდა ძალები: ეთერ თედიაშვილი, ცაცა ქვლივიძე, ჯიმშერ ძაბილაშვილი, ქიტა ბუზიაშვილი, ალავერდა ბუზიაშვილი, ვახტანგ ფურცელაძე, შოთა ბაზერაშვილი....



არსებობის პერიოდში თეატრმა გადაიხადა სამი იუბილე: 50 წლის – 1926 წელს, 100 წლის – 1981 წელს და 125 წლის – 2003 წელს.

სხვათაშორის, მუზეუმის ფონდებში შენახული ყველაზე ძველი აფიშა ეკუთვნის მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი ერბოწონაშვილის დიდ პაპას, იაშა ანუაშვილს და დათარიღებულია 1928 წლის 13 ოქტომბრით.

***– ბადრი, ჩვენი თეატრი ყოველთვის სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა, წელს თეატრი 145 წლის გახდა. ამ ხნის მანძილზე სცენაზე თამაში, როლის მიღება და მორგება დიდი ჯილდო და წარმატება იყო ისეთი ადამიანებისთვის, როგორებიც იყვნენ მასწავლებლები, იურისტები, ექთნები, მუშები, უბრალო პროფესიის ადამიანები. მაინც ვის გამოყოფდი მათგან, როგორც პროფესიონალ მსახიობს?***

– სიმართლე გითხრათ, გამიჭირდება, რადგან მათ, დაწყებული მასწავლებელ დარია მაისურაძიდან, იაშა ანუაშვილიდან (მისი ბენეფისის უძველესი და უიშვიათესი აფიშა ჩვენი მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება, გარკვეულ პერიოდამდე თურმე აქვე იყო მის მიერ მუზეუმისთვის გადმოცემული ვერცხლის ჭურჭელი). მათ მთელი ეპოქა შექმნეს, ეპოქა, რომელიც, დამიჯერეთ, არც ერთი სხვა რაიონის თეატრს არ აქვს. აქ როლის მიღება, სცენაზე თამაში დიდ ტონად ითვლებოდა – სპექტაკლის ჩვენების მეორე დღიდან მოწიწებით ხვდებოდნენ მსახიობებს, ქალაქში ერთმანეთს ანიშნებდნენ მათზე. დიდი, საამაყო ისტორია აქვს ჩვენს თეატრს. მისი ისტორიის შესახებ ჩემი ავტორობით წიგნიცაა გამოცემული. ამასთან, ბებიაჩემი, როგორც აღვნიშნე, ირინე ჯაფარიძე საგარეჯოს თეატრის მსახიობი იყო გასული საუკუნის 30-იან წლებიდან, პროფესიით ექთანი. ასე, რომ მე ძალიან კარგად ვიცნობ ამ პიროვნებების ბიოგრაფიებს, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით გარეჯული თეატრის მართლაცდა ეპოქის შექმნაში. მაგრამ აქვე მინდა გავიხსენო ბატონი ჯიმშერ ძაბილაშვილი, რომელიც ათეული წლები თამაშობდა თეატრის სცენაზე და იყო საოცარი ხელმძღვანელი თეატრისა. მოდით და მათთან ერთად გავიხსენოთ: გიორგი არაბული, სოსო ჯაბადარი, ნუგზარ ჭანტურია, შოთა ბაზერაშვილი, ეთერ თედიაშვილი, რეჟისორი ვახტანგ ფურცელაძე.

***– დღესაც საკმაოდ ნიჭიერი მსახიობები გვყავს, მაგრამ...***

–მართალია, ჩვენი მსახიობების ნიჭიერებაში ჩვენი მხარის ვერც ერთი თეატრი ვერ მოვა (კადნიერებაში ნუ ჩამითვლიან), მაგრამ დღეს თეატრის კარები გამოკეტილია – პანდემია, ერთმანეთის ჯანმრთელობის მოფრთხილება დგას დღის წესრიგში...

***– ბოლო წლებში ნიჭიერი რეჟისორის ნიკა საბაშვილის ხელმძღვანელობით მართლაც საინტერესო სპექტაკლები და პროფესიონალიზმი აჩვენეთ...***

– გეთანხმებით. ჯერ მარტო სპექტაკლი „სისტემა“ ძალიან გულთბილად მიიღო მაყურებელმა. გვქონდა გასტროლები ლიტვაში. წარმოუდგენელია, მაგრამ საქართველოში და ლიტვაში გამართულ საერთაშორისო კონკურსებში ნიკა საბაშვილის დადგმული ორი სპექტაკლით („საქართველო“ და „სისტემა“) ჩვენმა თეატრალურმა დასმა ორი გრან-პრი მოიპოვა.



***– გაჩნდა მოტივაცია მეტის კეთების, მაგრამ...***

– ასეა, პანდემიამ შეაჩერა ყველაფერი, გასულ წელს ვერ წავედით ლიტვაში, ვერც წელს წავალთ ალბათ. ამასთან, იმედი გვქონდა მსახიობებს ხელფასის მომატების, მაგრამ...

***– ახლა მოქმედი მსახიობებიდან ვის გამოყოფდით, როგორც საუკეთესოს?***

– ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩემთვის ძნელია. იცით, რატომ? ყველა თავისებურად ნიჭიერია, ყველა თავისი გულწრფელობით ერთ აგურს ამატებს საერთო წარმატებისთვის. მართლაც, დასაფასებელია ნანული ბილანიშვილისა და ნათელა დიღმელაშვილის წილი ამ შემთხვევაში.

***– რას უსურვებდით გარეჯულ თეატრს და მისი ისტორიიდან რომელ პერიოდს „დააბედებდი“?***

– ყველას ვულოცავ თეატრის დღეს, ჩვენი თეატრის იუბილეს, წარმატებებს, წინსვლას და იმ ხანის გამეორებას, როცა მაყურებლისგან გადაჭედილ დარბაზში (600 ადგილი) სპექტაკლი „კუკარაჩა“ განმავლობაში 18-ჯერ იქნა წარმოდგენილი სრული ანშლაგით!

მივულოცოთ ჩვენს ამაგიან, ბებერ თეატრს დაარსებიდან 145 წელი, ვუსურვოთ დაფასება, მაყურებლით სავსე დარბაზები და მოწონების შეძახილები.

***– გისმინოს უფალმა!***

## მილოცვა



**დაბადების** დღეს ვულოცავთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს*** ქალბატონ **თინათინ ძაბილაშვილს!**

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, ბედნიერებას და კარიერულ წინსვლას.

*გაზეთ „გარეჯის მაცნეს“*
*თანამშრომლები*



**დაბადების** დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის გვერდში მყოფს, წარსულში სახელოვან სპორტსმენს – თავისუფალ ჭიდაობაში არაერთი წარმატების მქონეს, დღეს გარეჯელი მოზარდი თაობის სპორტული აღზრდის საქმეში გარკვეული წვლილის შემტანს, აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ მენეჯერს **ტარიელ როსტომაშვილს.**

ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, სიკეთეს, სიხარულს, დიდხანს სიცოცხლეს და გარეჯული სპორტის გვერდში დგომას კვლავაც აქტიურად.

*გაზეთ „გარეჯის მაცნეს“*
*რედაქცია*

**ალექსი ახვლედიანს!**



**გილოცავთ** დაბადების დღეს! მრავალი ტკბილი და ბედნიერი წელი შეგმატებოდეთ. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებას. ბევრი კარგი საქმე გაგიკეთებიათ ჩვენი რაიონისთვის და კიდევ მრავალი გაგეკეთებინოთ.

***პატივისცემით***
*ლამარა დრეიძე*

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.
ტელეფონები: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru